ზოია ჩიმაკაძე, არსენ გვიმრაძე

ნიკოლო მაკიაველი

და მისი ეპოქა

თბილისი 2005

„მაკიაველის „მთავარი“ ის ერთადერთი წიგნია,
რომელიც მთელი ცხოვრება უნდა იკითხო“.

ნაპოლეონი

ნაშრომში განხილულია ყველა დროის უდიდესი პოლიტიკური მოაზროვნისა და გამოჩენილი იტალიელი დიპლომატის ნიკოლო მაკიაველის ცხოვრება და მოღვაწეობა, მისი პოლიტიკურ-სოციალური იდეები.

ნაშრომი განკუთვნილია ისტორიის, პოლიტოლოგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობების სტუდენტებისა და მაკიაველით დაინტერესებული მკითხველთა ფართო წრისთვის.

რეცენზენტები: პროფ. **გურამ კუტალია**, დოც. **ბეჟან ჯავახია**
რედაქტორი: პროფ. **ია ხუბაშვილი**

© ზოია ჩიმაკაძე, თბილისი, 2005.
© არსენ გვიმრაძე, თბილისი, 2005.

იტალია XV საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნის დასაწყისში

იტალიის ეკონომიკური და პოლიტიკური აყვავება, რომელიც ჯვაროსნული ლაშქრობების ეპოქიდან დაიწყო, XVI საუკუნის დასაწყისისათვის მთავრდება. XV საუკუნის მეორე ნახევრიდან თავისი განვითარების შიდა პროცესების გავლენითა და საერთო ევროპული კონიუქტურის შეცვლის შედეგად იტალიაში იწყება ხანგრძლივი კრიზისის პერიოდი, რომელმაც მოიცვა ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფერო. ეს კრიზისი განპირობებული იყო ისტორიული განვითარების იმ თავისებური პროცესებით, რითაც მაშინდელი იტალია გამოირჩეოდა დასავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოებისაგან.

ბურჟუაზიული ელემენტების ჩასახვა იტალიაში გამოწვეული იყო საშინაო წარმოების განვითარებითა და სავაჭრო კაპიტალის ზრდით, რაც უშუალოდ იყო დაკავშირებული ხმელთაშუა ზღვაზე ვაჭრობასთან. იტალია წარმოადგენდა სავაჭრო შუამავალს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, რის შედეგადაც მიღებული კოლოსალური მოგება ქმნიდა თავისუფალ ფულად თანხას, რომელიც გამოყენებული იყო ადგილობრივი მანუფაქტურების წარმოებისა და მევახშეობისათვის.

იტალია იქცა დასავლეთისათვის აღმოსავლური საქონლის (აბრეშუმი, ფარჩა, სანელებლები, ძვირფასი თვლები და სხვა) არა მარტო მთავარ მიმწოდებლად, არამედ საკუთარი წარმოების პროდუქციისაც (ფლორენციული მაუდი, ვენეციური მინა, მილანური იარაღი და სხვა). ამასთანავე იტალია გადაიქცა მთავარ ბანკირ-მევახშედ, რომლის დახმარებას საჭიროებდნენ იმ დროის ძლიერი მონარქები.

ტრანზიტული ვაჭრობის სპეციფიკური ხასიათი, რომელსაც იტალია აწარმოებდა, თავიდანვე ხელს უწყობდა ხელოსნური წარმოების განვითარებას, მოგვიანებით კი მანუფაქტურული წარმოების აღმავლობას, მაგრამ მიუხედავად ამისა, იტალიამ მაინც ვერ შეძლო ერთიანი საშინაო ბაზრის შექმნა, რაც გამოწვეული იყო პოლიტიკური დაქსაქსულობითა და ცალკეული ქალაქ-სახელმწიფოებს შორის არსებული ბრძოლით პირველობისათვის. გარდა ამისა, ყველა ქალაქი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად აწარმოებდა კომერციულ საქმეს, რომელიც დაკავშირებული იყო მხოლოდ და მხოლოდ მის საშინაო ინტერესებთან.

ეკონომიკურ-პოლიტიკური ცენტრების ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არსებობა აძლიერებდა იტალიის დაქუცმაცებულობას, რაც მისი კრიზისის მთავარი მიზეზი იყო. XV საუკუნის ბოლოსათვის იტალიაში განაგრძობდა არსებობას მსხვილი სახელმწიფოების კონგლომერატი, ქალაქი-რესპუბლიკები და მრავალი წვრილი სამფლობელო.

ეკონომიკური კრიზისი, რომელიც ნაწილობრივ გამოწვეული იყო იტალიის დაქუცმაცებით, თავის მხრივ ხელს უწყობდა ამ სეპარატიზმს მთელი XVI საუკუნის განმავლობაში და შემდგომშიც.

XV საუკუნეში იტალიის ეკონომიკური დაცემის არანაკლებ მნიშვნელოვან მიზეზს, წარმოადგენდა ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიაზე აღმოცენებული თურქ-ოსმალთა ძლიერი სამხედრო სახელმწიფო. 1453 წელს თურქების მიერ კონსტანტინოპოლის აღებამ მნიშვნელოვნად შეზღუდა იტალიელი ვაჭრების გზები შავ ზღვაზე, აგრეთვე ახლო და შუა აღმოსავლეთში. თურქებთან ბრძოლის შემდეგ ვენეციამ დაკარგა დასაყრდენი პუნქტები ლევანტში, რამაც გაართულა ურთიერთობა ეგვიპტესა და ინდოეთთან. სირიისა და ეგვიპტის სანაპიროები, დამასკო და ალექსანდრია უკვე აღარ წარმოადგენდა დამაკავშირებელ რგოლებს ინდოეთსა და იტალიას შორის.

ლევანტთან ეკონომიკური კავშირის დაკარგვის კომპენსაციას ძლიერი იტალიური სახელმწიფოები ერთმანეთის დაპყრობით ცდილობდნენ, რათა შემდგომში მთელს იტალიაზე მოეპოვებინათ გავლენა, რაც კიდევ უფრო აძლიერებდა ანტაგონიზმს მათ შორის.

გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა XV საუკუნის ბოლოს მსოფლიო სავაჭრო გზები ატლანტის ოკეანეში გადაიტანა, რამაც საბოლოოდ დასცა ლევანტის ვაჭრობა. იტალიურ ვაჭრობას საქონელბრუნვის შეცვლა მოუხდა. იტალიის სამრეწველო ქალაქები გაჭირვებით ყიდდნენ თავიანთ ნაწარმს. შეიმჩნეოდა ქვეყნის ეკონომიკური

ცხოვრების დაცემა, რამაც თავის მხრივ ხელი შეუწყო მის პოლიტიკურ დაქუცმაცებას. იტალიური სახელმწიფოები უფრო მეტად აღმოჩნდნენ დამოკიდებელი ნედლეულის ბაზებზე და გასაღების ბაზარზე ქვეყნის გარეთ, ვიდრე ერთმანეთზე. ამიტომაც ამერიკის (1492 წ.) და ინდოეთისკენ მიმავალი გზის (1498 წ.) აღმოჩენა, ასევე ესპანეთისა და პორტუგალიის დაპყრობები ატლანტის ოკეანეში წარმოადგენდა იტალიაში ეკონომიკური კრიზისის გაღრმავების სერიოზულ მიზეზს.

იტალიის ეკონომიკაზე განსაკუთრებული ასახვა ჰპოვა „ფასების რევოლუციამ", რომელმაც მთელი დასავლეთი ევროპა მოიცვა. გეოგრაფიული აღმოჩენების შემდეგ XVI საუკუნის სამეურნეო სირთულეებმა იტალიაში შექმნა სრულიად თავისებური პირობები მისი შემდგომი განვითარებისათვის, რის შედეგადაც შეიმჩნეოდა სოფლის მეურნეობისაკენ დაბრუნება, მიწების დასაკუთრება და მიწათმფლობელური დამოკიდებულება. წვრილი მიწათმფლობელობის პარალელურად მიწათმფლობელობაში შეიმჩნეოდა მსხვილი კაპიტალდაბანდებების ცალკეული შემთხვევები. იტალიელ ბანკირთა და ვაჭართა საანგარიშო წიგნები მოწმობენ მათ საქმიან ჩანაწერებს მიწების შეძენასთან დაკავშირებით. მათ შორის იყვნენ მედიჩები, რომლებსაც პირველი ადგილი ეჭირათ თავიანთი სამფლოებელობით პიზის ოლქში, იყვნენ სხვებიც: კაპონები, პუჩები, რუჩელაები, ველორები, გვიჩარდინები, ვეტორები, პეკორები და ა.შ. (13, 8-9).

ეკონომიკურ კრიზისს თან ახლდა პოლიტიკურიც, რადგანაც გამწვავდა ძალაუფლებისთვის ბრძოლა ყველა იტალიურ სახელმწიფოს შორის. პირველობისათვის ბრძოლა კი მათ შორის ხშირად გადადიოდა სამხედრო შეტაკებებში.

ქალაქებს შიგნით არსებულმა საშინაო სოციალურმა ბრძოლამ დაღუპვამდე მიიყვანა შუა საუკუნეების იტალიური კომუნები და ხელი შეუწყო ტირანიის დამყარებას XIV-XV საუკუნეებში.

ამ პროცესებთან უშუალოდ იყო დაკავშირებული ქალაქების ექსპანსიის საკითხი; ცნობილია, რომ უკვე XIII საუკუნის დასაწყისში იტალიაში 200 თუ 300 დამოუკიდებელი ქალაქის კომუნა არსებობდა. ძალიან მალე დაიწყო პროცესი, რომელიც მსხვილი კომუნების მიერ პატარა და სუსტი კომუნების შემოერთებით დამთავრდა. ეს პროცესი გარდაუვალი იყო; ქალაქები მიისწრაფვოდნენ გაეკონტროლებინათ გარშემო მდებარე ადგილები, რათა უზურუნველეყოთ ქალაქისათვის პროდუქტების რეგულარული მიწოდება და წარმოებისათვის იაფი მუშახელის შოვნა. ამასთან დაკავშირებით გერმანე-

ლი ისტორიკოსი ჰ.კენიგსბერგერი წერდა: „ქალაქის საბჭო, რომც ყოფილიყო სრულიად კეთილგანწყობილი, ის მაინც ეცდებოდა, რომ არ დაეშვა უფრო ძლიერი ანდა აგრესიული მეზობლების გაძლიერება ახალი ტერიტორიების შეძენის ხარჯზე" (25, 332). ასეთ შემთხვევაში ერთადერთი რეალური გზა, რომ თავიდან აეცილებინა ქალაქს მეზობლისაგან დაპყრობა, იყო ის, რომ თვითონ გადაედგა ასეთი ნაბიჯი.

ყველა შემთხვევაში ეს იწვევდა გაუთავებელ ომებს ტერიტორიების შესაძენად, რაც თავის მხრივ ხდებოდა ქალაქთა კავშირების შექმნის მიზეზი. XIV საუკუნის ბოლოსათვის დამოუკიდებელი კომუნების რიცხვი მკვეთრად შემცირდა. წინა პლანზე გამოვიდნენ დიდი, ყველაზე მდიდარი და სტრატეგიული მდებარეობის მქონე ქალაქები. გენუა აკონტროლებდა ლიგურიის სანაპიროს დიდ ნაწილს, ფლორენცია — ტოსკანის მნიშვნელოვან ნაწილს, მილანოს მმართველებმა შექმნეს ვრცელი სახელმწიფო ლომბარდიაში და ცდილობდნენ ცენტრალური იტალიის შემოერთებას. ვენეცია ძლიერ საზღვაო იმპერიას წარმოადგენდა და ფორპოსტებს ფლობდა ადრიატიკის სანაპიროებზე და ლევანტში, შემოერთებული ჰქონდა მდ. პოს ქვემო წელზე არსებული ტერიტორიები.

სწორედ ამ მოვლენების შემდეგ იტალიის ქალაქ-სახელმწიფოებს შორის, კერძოდ XV საუკუნის შუა ხანებისათვის, ყალიბდება ე.წ. ძალთა ბალანსი. „დიდი ხუთეულის" წევრებმა — ნეაპოლის მეფემ, რომის პაპმა, მილანოს ჰერცოგმა, ვენეციისა და ფლორენციის რეპუბლიკებმა მხარი დაუჭირეს ძალთა წონასწორობის ბალანსს, რომელიც იმთავითვე ნიშნავდა გავლენის სფეროების გადანაწილებას, რაც შემდგომი პერიოდის მოვლენებმა დაამტკიცა, თუმცა XV საუკუნეში ეს მხოლოდ პოლიტიკური კავშირის ფორმას წარმოადგენდა (40, 23).

ახალმა ეპოქამ თანდათან მოშალა ადათობრივი კავშირები. როგორც ცნობილია, დიდი წინააღმდეგობა ხვდებოდა ქორწინებას, რომელიც ხელს უწყობდა ქონებისა და საკუთრების გატანას კომუნის საზღვრებს გარეთ. აქედან გამომდინარე, ძნელი იყო ქორწინება როგორც სხვადასხვა კომუნის, ისე სხვადასხვა პარტიების წევრებს შორისაც. მაგრამ პოლიტიკური რეფორმების შედეგად ეს ყველაფერი გაქრა. კომუნამ თანდათანობით შეზღუდა იმპერატორებისა და პაპების უზენაესობა და თვითონვე გახდა საკუთარი ბედის განმკარგავი. დაპირისპირება კომუნის შიგნით ურთიერთშორის ბრძოლად გადაიქცა (40, 25).

ასეთი ტრანსფორმაციის შედეგად რესპუბლიკებმა თავიანთი ტერიტორიები გაიფართოვეს, რამაც თავისთავად ცენტრალიზებული ხელისუფლების საკითხი წამოჭრა. გარდა ამისა, პოლიტიკურ სცენაზე გამოვიდნენ პატივმოყვარე და მამაცი ადამიანები, რომლებიც ყველა საშუალებით ცდილობდნენ ხელისუფლების მწვერვალებამდე მიღწევას. ამგვარად, თუ ადრე იტალიაში ყველგან კომუნები ყალიბდებოდა, ამჯერად ქვეყანაში მკვეთრად იმატა ტირანების რიცხვმა.

იტალიის ზოგიერთ ქალაქ-სახელმწიფოში აჯანყებებმა გამოიწვია რესპუბლიკური მმართველობის შეცვლა ერთპიროვნული დიქტატურით — ტირანიით. მათ სათავეში იდგნენ დაქირავებულ რაზმთა მხედართმთავრები — კონდოტიერები. ასეთი იყო, მაგალითად, სფორცების გვარი მილანოში, ურბინოში — მონტეფელტრების, ფერარაში — დ'ესტებისა და ვერონაში — სკალიგიერთა. ტირანიის თავისებურებით გამოირჩეოდა ფლორენცია, რომელსაც მედიჩებმა რესპუბლიკური მმართველობის გარეგნული ფორმა შეუნარჩუნეს.

იტალიის ტირანიამ თავისებური ხასიათის გამო ისტორიული მნიშვნელობა შეიძინა. მას არ ახასიათებდა არისტოკრატიული წარმოშობა ან შეძლებული გვარიშვილობა. ნებისმიერ ვაჭარს, უკანონო შვილს, სამხედრო ავანტურისტს შეეძლო აღმოჩენილიყო ჯარების სათავეში, მოეხდინა რევოლუცია, გამხდარიყო ტირანი თავისი მამაცობითა და გამჭრიახობით. სწორედ ამის გამო XV საუკუნე იტალიაში სამართლიანად ითვლება ავანტურისტთა და უკანონოდ შობილთა საუკუნედ — ასე ახასიათებდა რენესანსის ეპოქას ცნობილი იტალიელი მკვლევარი ვილარი (18, 9).

ასეთ სიტუაციებში არ კმაროდა მარტო პირადი სიმამაცე. საჭირო იყო აგრეთვე დიდი სიფრთხილე და გამჭრიახობა, დახვეწილი სივერაგე, ადამიანთა ფსიქოლოგიის სიღრმისეული ცოდნა და განსაკუთრებით კი საკუთარი გრძნობების ჭკვიანური მართვა. ტირანები მფარველობდნენ მეცნიერებას, ხელოვნებასა და კულტურას. ეს მათი მხრიდან გარკვეული პოლიტიკური მანევრი იყო, რათა ხალხის ყურადღება პოლიტიკიდან ჩამოეშორებინათ.

კარგად დაწერილი დიპლომატიური ნოტა, დახვეწილი ორატორული გამოსვლა ხშირად წარმატებით წყვეტდა უმნიშვნელოვანეს საკითხებს. ამ პერიოდის იტალიური სახელმწიფოებისათვის ომები დიპლომატიური და ფინანსური საქმიანობის ძირითად სახედ იქცა. დაქირავებულმა ფორმირებებმა შექმნეს ახალი სამხედრო ხელოვნება, რის შედეგადაც არა ერთი ლიდერი იშვა. ერთი სიტყვით, ტი-

რანებთან ერთად ჩამოყალიბდა მმართველობის მეცნიერება და ხელოვნება (40, 27).

ამრიგად, ტირანიის დამყარებამ კიდევ უფრო დააქუცმაცა იტალია. საბოლოოდ მისმა ჩამოყალიბებამ გამოიწვია განუწყვეტელი ბრძოლები საგარეო ბაზრების ხელში ჩაგდებისა და თვით იტალიური ტერიტორიების დაუფლებისათვის.

ერთმანეთთან მეტოქეობის დროს ტირანები დასახმარებლად ხშირად მიმართავდნენ მეზობლებს ან გარეშე ძალებს, რათა ამ გზით მიეღწიათ მიზნისათვის. შეთქმულებებისა და ინტრიგების ვითარებაში შეიმჩნეოდა პოლიტიკური ინტერესების თავისებური ხლართი, რამაც იტალიაში წარმოშვა პოლიტიკური თანასწორობის იდეა, რომელსაც დახვეწილი დიპლომატიური მანევრირება მოსდევდა. ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ როგორც ი.ბურკჰარდტი წერდა, ე.წ. „დარწმუნების ხელოვნება" იმ პერიოდის იტალიურ პოლიტიკაში უდიდეს როლს ასრულებდა (22, 113).

ამ ხელოვნების შემქმნელად სამართლიანად ითვლება ლორენცო მედიჩი, რომელსაც „პოლიტიკური სასწორის ისარი" უწოდეს. ეს სახელი მან მიიღო ფლორენციასა და ნეაპოლს შორის ომის საშიშროების აცილებისათვის, პაპ ინოკენტი VIII მეგობრობისათვის; იმისათვის, რომ შეძლო შეენარჩუნებინა ანტაგონიზმი ლოდოვიკო მოროსა და ფერდინანდ არაგონელს შორის (19, 39).

ევროპის სახელმწიფოებს შორის დაიწყო დაძაბული ბრძოლა მდიდარი, მაგრამ ეკონომიკურად დასუსტებული, პოლიტიკურად არამდგრადი იტალიისათვის. ეს ბრძოლა 1494 წელს დაიწყო და გრძელდებოდა XVI საუკუნის თითქმის მთელი პირველი ნახევრის მანძილზე. იტალიის დასაპყრობად გამოვიდნენ დასავლეთ ევროპის ძლიერი სახელმწიფოები, სადაც უკვე დამთავრებული და განმტკიცებული იყო ცენტრალური ხელისუფლება. დასავლეთ ევროპული სახელმწიფოების ეკონომიკური ბაზების გაფართოების წყალობით, მანუფაქტურული წარმოების ზრდითა და გეოგრაფიული აღმოჩენების შედეგად გაცხოველებული ვაჭრობის გამო შესაძლებლობა მიეცათ უფრო ადრინდელთან შედარებით აქტიური პოლიტიკა ეწარმოებინათ. ყოველივე ამან იტალია მაშინდელი დიპლომატიის ცენტრში დააყენა.

იტალიის წინააღმდეგ იწყებენ სამხედრო მოქმედებას: საფრანგეთის მეფე შარლ VIII, რომელმაც მამისაგან ლუი XI მიიღო მემკვიდრეობით ცენტრალიზებული სახელმწიფო; ესპანეთის „კათოლიკე მეფეები", ფერდინანდი და იზაბელა, რომლებმაც 1479 წელს

ესპანეთი საბოლოოდ გააერთიანეს, მაქსიმილიან I, რომის საღმრთო იმპერიის იმპერატორი, რომელმაც ჰაბსბურგთა სამფლობელოებს მდიდარი ნიდერლანდები შემოუერთა.

შარლ VIII პრეტენზიები ჰქონდა ნეაპოლის სამეფოზე და სურდა იქ ანჟუელთა დინასტიის განმტკიცება. გარდა ამისა, ის ოცნებობდა მილანოს საჰერცოგოს დაპყრობაზე.

ფერდინანდი და იზაბელა ორივე მიისწრაფვოდნენ სიცილიის დაპყრობაზე და მხარს უჭერდნენ ნეაპოლში არაგონელთა დინასტიას.

მაქსიმილიან I პრეტენზიებს აცხადებდა მთელი იტალიის სუვერენიტეტზე და სურდა ხელახლა შეეყვანა ის რომის საღმრთო იმპერიაში და აღედგინა თავისი ძალაუფლება ვენეციაზე.

ევროპელი მონარქების სწრაფვას იტალიის დასაპყრობად ხელს უწყობდნენ თვითონ იტალიელი მმართველები, რომლებიც ურთიერთშორის ბრძოლებში ხშირად ეძებდნენ მხარდაჭერას იტალიის საზღვრებს გარეთ. იქმნებოდა და იშლებოდა მრავალრიცხოვანი ლიგები და კოალიციები. მთელი იტალია დაიყო ორ დაპირისპირებულ ბანაკად. იტალიის წინააღმდეგ მიმართულმა. დაპყრობითმა ლაშქრობებმა საბოლოოდ არია მისი პოლიტიკური რუკა, რის შედეგადაც გამოჩნდა იტალიის სრული უძლურება შეენარჩუნებინა დამოუკიდებლობა და თავისუფლება.

დაქუცმაცებულ იტალიას არ შეეძლო მობილიზება მოეხდინა მთელი თავისი სამხედრო რესურსებისათვის. რომელიც მისი აყვავების დროსაც კი სერიოზულ საშიშროებას არ წარმოადგენდა.

ნიკოლო მაკიაველიმ თავის ნაშრომში „მსჯელობა ტიტუს ლივიუსის პირველი დეკადისათვის“ მოგვცა იტალიური ჯარის სისუსტის მიზეზების ახსნა: „იტალიური სახელმწიფოების შეცდომების რიცხვში, შეცდომის, რომელმაც იტალია უცხოების მსხვერპლად აქცია, არცთუ უმნიშვნელო როლი შეასრულა იმან, რომ ისინი არაფრად აგდებდნენ ქვეითს და მთელ ყურადღებას კავალერიას უთმობდნენ... 25 წლის წინ იტალიური ჯარი შედგებოდა უსახლკარო, თავგადასავლების მაძიებელი ბანდებისაგან, რომლებსაც სურდათ თავიანთი მნიშვნელობის შენარჩუნება, ამიტომაც მუდმივად შეიარაღებული იყვნენ მაშინ, როდესაც მმართველები უიარაღოდ რჩებოდნენ. მათ არც მრავალრიცხოვანი ქვეითი ჯარის შენახვა შეეძლოთ და არც მისი დაქირავება... კავალერია კონდოტიერებისათვის უფრო მომგებიანი და მოსახერხებელი იყო, ამიტომაც ისინი ცდილობდნენ მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცათ

ქვეითის საზიანოდ: ასეთმა უწესრიგობამ კი განაპირობა ის, რომ ყველაზე დიდ ჯარშიც კი ქვეითი ცოტა იყო" (5,317).

სამხედრო ძალების სუსტი ორგანიზაცია ნათლად აისახა სამხედრო მოქმედებების დროს. მაშინდელი მოვლენები თვით თანამედროვეთა მიერ იქნა დახასიათებული. მაკიაველი დიდი სარკაზმით აღწერს სამხედრო მოქმედებებს, რომელსაც იტალიური სახელმწიფოები ერთმანეთთან აწარმოებდნენ და თავის „ფლორენციის ისტორიაში" შენიშნავს, რომ „ომს აწარმოებდნენ იმდენად სუსტად, რომ იწყებდნენ ყოველგვარი შიშის გარეშე, აგრძელებდნენ ყოველგვარი საფრთხის გარეშე, ამთავრებდნენ ზიანის გარეშე" (2, 74).

ფრანჩესკო გვიჩარდინიმ შეავსო და დააზუსტა ეს დახასიათება: „...თუ საქმე სერიოზულად იყო, ჯარები ერთმანეთის წინაშე ისე ბალანსირებდნენ, რომ ერთი ციხესიმაგრის ასაღებად მთელი ზაფხული იკარგებოდა, და მთელი სამხედრო ოპერაცია მთავრდებოდა სისხლისღვრის გარეშე" (34, 52).

თანაბარი სიძლიერის მქონე ქალაქ-სახელმწიფოები ერთმანეთთან კონფლიქტში სერიოზულ წარმატებებს ვერ აღწევდნენ, ამიტომაც დაიწყეს უფრო ძლიერი მფარველის ძებნა მოწინააღმდეგის გასანადგურებლად. ამით იყო გამოწვეული მათი სისტემატური ლავირება ხან ერთ ლიგაში შესვლით და ხანაც რომელიმე ევროპულ სახელმწიფოსთან ალიანსში. ამის გამო შეთქმულებისა და ინტრიგების რიცხვი უსაზღვროდ იზრდებოდა. ასეთ ვითარებაში შეიქმნა პოლიტიკური ინტერესების თავისებური ხლართი, რამაც იტალიაში წარმოშვა პოლიტიკური თანასწორობის იდეა.

სწორედ აღნიშნული გარემოებების გამო იტალიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცა დიპლომატიურ საქმიანობას. იტალიელმა დიპლომატებმა გამოავლინეს შესაშური ენერგია, გამჭრიახობა და მოქნილობა.

ვენეციელი დიპლომატები პირველ ადგილს იკავებდნენ თავიანთი პრაქტიკულობითა და პოლიტიკური გონიერებით, ფლორენციელები სხვებს აღემატებოდნენ ფსიქოლოგიური ანალიზის განსაკუთრებული ხასიათით. ისინი გამოირჩეოდნენ თავისი ბუნებრიობითა და უშუალობით. საერთოდ კი, იტალიელი დიპლომატები ცდილობდნენ ღრმად ჩაწვდომოდნენ ადამიანური აზროვნების სიღრმეებს, რათა ორიენტირებული ყოფილიყვნენ წარჩინებულთა ინტერესებზე და უკეთესად გაეგოთ ქცევები და ფსიქოლოგია იმ მმართველებისა, რომლებთანაც მათ ურთიერთობა უწევდათ. ეს სპეციფი-

კური ნიშნები, რომლებიც იტალიური დიპლომატიისათვის იყო დამახასიათებელი, გვიანი რენესანსის პოლიტიკური აზროვნების მკვლევართა ყურადღებას იპყრობდა. გერმანელი მეცნიერი ფასტერი ამასთან დაკავშირებით, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „ადამიანებზე დაკვირვების ხელოვნებამ ვირტუოზობის უმაღლეს დონეს მიაღწია. მრავალრიცხოვან სახელმწიფოებად დაყოფილი ქვეყნის ასობით დიპლომატიდან თითოეული თავის მოხსენებებში სიამოვნებით უთმობდა ადგილს ადამიანის პიროვნული თვისებების აღწერას. რასაკვირველია, მხოლოდ იმ ადამიანების, რომლებიც ქონებრივად ეკუთვნოდნენ 10 ათასიან ზედა ფენას, მმართველ კლასს. ხალხის დანარჩენ ნაწილზე კი ლაპარაკიც არ იყო" (16, 19).

იტალიური აღორძინების ცნობილ „virtu"-ს წარმოადგენდა წარმატებისა და მიზნის მიღწევა ნებისმიერი საშუალებით, პირადი თვისებებითა და ინიციატივით, რაც საშუალებას აძლევდა მათ დაემყარებინათ ერთპიროვნული დიქტატურა და ხელში ჩაეგდოთ ძალაუფლება მოქალაქეთა უფლებების შეზღუდვით, რომელიც აღორძინების იდეოლოგიით იყო გამართლებული.

ცნობილი ინგლისელი დიპლომატი ჰ. ნიკოლსონი ამასთან დაკავშირებით თავის წიგნში „დიპლომატიური ხელოვნება" იტალიური ქალაქ-სახელმწიფოების დიპლომატიური ტაქტიკისა და სტრატეგიის შეფასებისას, წერს: „ეს პატარა სახელმწიფოები თავისი საცოდავი თავდაცვითი საშუალებების შევსებას ცდილობდნენ დიპლომატიური კომბინაციებით. საკუთარი არსებობის ეფემერულობის შეგრძნება ამ დესპოტებსა და ოლიგარქებს შესაძლებლობას აძლევდა მიელწიათ მხოლოდ უახლოესი შედეგებისათვის... მათთვის მოლაპარაკების ხელოვნება იყო აზარტული დევნა დიდი მოგების მოპოვებისა. ეს იყო მათთვის ცბიერების, რისკისა და სისასტიკის ერთობლიობა, მათ მიერ ხმამაღლა წოდებული „virtu" (30, 56).

ვფიქრობთ, ნიკოლსონის ირონიული შეფასება გადაჭარბებულია. იტალიური დიპლომატიური სისტემა ნამდვილად არ იმსახურებს ასეთ ცინიკურ შეფასებას.

ამ ეპოქაში ცხოვრობდნენ სრულიად განსხვავებული სოციალური მსოფლმხედველობით, საქმიანობით, მისწრაფებებითა და ხასიათებით ისეთი გამორჩეული ადამიანები, როგორიც იყო ნიკოლო მაკიაველი და ფრანჩესკო გვიჩარდინი, ჯიროლამო საონაროლა და ალექსანდრე VI ბორჯა, ბენვენუტო ჩელინი და ლეონარდო და ვინჩი, ლორენცო მედიჩი და გონსალვო კორდოველი, ჩეზარე ბორჯა და კარლ V, ფრანცისკ I და სხვები.

სტენდალი ვოლტერის პერიფრაზირებისას ნათლად ახასიათებს ამ პერიოდს რამდენიმე სიტყვით: „ჭკუა, რწმენა, ათეიზმი, მასკარადები, მოწამვლა, მკვლელობა, რამდენიმე გამოჩენილი ადამიანი, დაუსრულებლად ბევრი მოქნილი და ამავე დროს უბედური ბოროტმოქმედი, ყველგან მათი ცეცხლოვანი ვნებები და ველური ჭირვეულობა... აი XV საუკუნე“ (36, 35). და მართლაც, იტალიის ქალაქ-სახელმწიფოების სათავეში არცთუ იშვიათად იდგნენ ძლიერი და ჯიუტი პიროვნებები, როგორც მაგალითად, სფორცები — მილანოში, მედიჩები — ფლორენციაში, ბორჯები — შუა და ჩრდილო იტალიაში, რომლებმაც თავიანთი მოქნილობისა და გამჭრიახობით შეძლეს ძალაუფლების ხელში ჩაგდება და მისი შენარჩუნება. ისინი უყოყმანოდ მიმართავდნენ ყველაზე ბინძურ საშუალებებს: მზაკვრობას, ვერაგობას, ღალატს, საწამლავს, მკვლელობებს, კონდოტიერებს, უცხოელთა სამხედრო ძალას, სისხლის აღრევას. ისინი თაყვანს სცემდნენ მხოლოდ და მხოლოდ ძალას. პოლიტიკური ფორმულა — „ძალაუფლება მისი ბოროტად გამოყენების გარეშე მთელ თავის მომხიბვლელობას კარგავს“ — ეს იყო მათი სამოქმედო პრინციპი.

საზოგადოებრივი დიფერენციაციის სოციალური პრობლემები და იტალიური სახელმწიფოების კრიზისი მჭიდროდ არის გადახლართული აღორძინების იდეოლოგიასა და კულტურის საკითხებთან. სწორედ ამ დროს დაინგრა ძველი, შუასაუკუნეობრივი გაგება, ქცევის ნორმები და შეიქმნა სრულიად ახალი, ბურჟუაზიული იდეოლოგია.

სქოლასტიკისა და მისტიკისაგან შუა საუკუნეები გადადის ჰუმანიზმში, ღვთაებრივი ათვლიდან ადამიანურობის შეცნობაში. divina-დან humaniora-ში.

პიროვნების მეცნიერულად შესწავლის გადაჭარბებული ინტერესი, გამომდინარეობდა პოლიტიკის შესაბამისი მოთხოვნილებებიდან და ხასიათდებოდა თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთკავშირით. რენესანსის ეპოქის მხატვრებიც, თავის მხრივ, ცდილობდნენ დაესაბუთებინათ მეცნიერული პრინციპები თავიანთ შემოქმედებაში, რომელიც ასახავდა იტალიის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებას.

იქმნებოდა პოლიტიკური ტრაქტატები, რომლებიც ამართლებდნენ და განიხილავდნენ პოლიტიკურ ვითარებას იტალიაში, ცდილობდნენ ეპოვათ გამოსავალი და ეჩვენებინათ გზა ხსნისა.

შექმნილ პოლიტიკურ ტრაქტატებს, მეცნიერებას სახელმწიფოს შესახებ, ისტორიულ თხზულებებს საფუძვლად ედოთ თეორეტიკული აზრის მაღალი განვითარების დონე.

მაგრამ მხოლოდ მაკიაველიმ შეძლო საფუძველი ჩაეყარა ერთიანი იტალიის იდეისათვის, რომელიც აგებული იქნებოდა მტკიცე ცენტრალურ ხელისუფლებაზე და ძლიერი სახალხო ჯარის ორგანიზებაზე (მილიცია). ამ ოცნებამ მის ეპოქას გაუსწრო, რადგანაც მაშინდელ იტალიაში ქვეყნის გაერთიანებისათვის არავითარი პირობები არ არსებობდა. XVI საუკუნის დასაწყისში ვენეცია დაღუპვის პირამდე მივიდა. რომში გაუთავებელი მღელვარება იყო.

პოლიტიკური წონასწორობის სისტემა, რომელიც მისაღები იყო მშვიდობიან პირობებში, საავსებით უსუსური აღმოჩნდა იტალიაში უცხოელების დაპყრობების დროს.

. 1494 წელს იტალიაში შემოიჭრა საფრანგეთის მეფე შარლ VIII, 1499 წელს კი გამოჩნდა ლუი XII. 1500 წელს ესპანეთმა და საფრანგეთმა დადეს ხელშეკრულება იტალიის გაყოფასთან დაკავშირებით, რის შემდეგაც 50 წლის მანძილზე იტალიაში არ შეწყვეტილა სისხლისმღვრელი ომები ესპანეთს, საფრანგეთსა და რომის საღვთო იმპერიას შორის. „და იყო შემოსევა იტალიაზე ცეცხლით და ჭირით, რომელმაც არა მარტო შეცვალა ქვეყანა, არამედ მისი მმართველობისა და ომის წარმოების საშუალებებიც" — წერდა ფრანჩესკო გვიჩარდინი (10, 17). ეკონომიკურად სისხლისგან დაცლილი და პოლიტიკურად არეული იტალია დამპყრობლებისათვის ადვილად მოსაპოვებელი ნადავლი აღმოჩნდა. საბოლოოდ კი დამოუკიდებლობა დაკარგა sacco di Roma-ს შემდეგ 1527 წელს. თუმცა ბრძოლები იტალიაში არ შეწყვეტილა რომის დაცემის შემდეგაც იმპერატორ კარლ V ლანდსკნეხტებთან, მაგრამ ამას უკვე არსებითი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

იმ დროს, როდესაც საფრანგეთში, ესპანეთსა და ინგლისში უკვე დამთავრდა ცენტრალიზებულ სახელმწიფოთა შექმნის პროცესი, — სამოქალაქო ომებით დაღლილი და დასუსტებული იტალია ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულებად იყო დაყოფილი: ვენეციისა და გენუის რესპუბლიკები და მილანოს საპერცოგო ლომბარდიაში (ჩრდილოეთ იტალია), ფლორენციის რესპუბლიკა — ტოსკანაში (შუა იტალია), სპოლეტოდან რავენამდე — პაპების სახელმწიფო, ნეაპოლის სამეფო სამხრეთ იტალიაში (სიცილიისა და სარდინიის ჩათვლით); სიენისა და ლუკის რესპუბლიკები ტოსკანაში, მანტუის, ფერარისა და პარმის საპერცოგოები, საეოიისა და პიემონტის საჰერცოგოები, სალუცოსა და მონფერატოს მარკიზატები... ეკონომიკური, სოციალური თუ კულტურული განვითარების სხვადასხვაობა, დიპლომატიური ინტრიგებისა და პოლიტიკური ავანტიურების

წარმოუდგენლად რთული ხლართი — ასეთი იყო მაკიაველის დროინდელი იტალიური სინამდვილის ზოგადი სურათი (1, 8).

ადგილობრივი სეპარატიზმის გადალახვა და გაერთიანება იტალიას არც ეკონომიკურად შეეძლო და არც პოლიტიკურად; ის საშინელ კრიზისს განიცდიდა. 1494 წელს ფლორენციელებმა მედიჩები განდევნეს და რესპუბლიკურ წყობას დაუბრუნდნენ. მაგრამ 1498, 1508 და 1512 წლებში ქალაქში კვლავ ტირანული რეჟიმი დამყარდა. რამდენჯერმე შეიცვალა ხელისუფლება მილანოში.

ყოველივე ამის შემდეგ სავსებით ბუნებრივია, რომ ე.წ. „იტალიური ომები" (1494-1559წწ.) აპენინის ნახევარკუნძულის სრული კრახით, მისი პოლიტიკური პრესტიჟის, ეკონომიკური და სამხედრო ძლიერების საბოლოო შემუსვრით დაგვირგვინდა „ეს იყო მიუტევებელი სირცხვილი", უდიდესი ნაციონალური კატასტროფა, რამაც ევროპის ყველაზე მოწინავე ქვეყანა მოკლე ხანში მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ გადააქცია, რომელმაც შემდგომი მთელი ორასი წლის მანძილზე ვეღარ დააღწია თავი უცხოელთა ბატონობას. ასეთი იყო XV-XVI საუკუნეების იტალიის ტრაგედია, რომელიც უშუალოდ განიცადა და თავისი როლი ითამაშა ნიკოლო მაკიაველიმ.

ფლორენცია

ფლორენციას, რომელიც დანტეს განმარტებით „ყველაზე ლამაზი და ცნობილი ასული იყო რომის“ (33, 49), განსაკუთრებული ადგილი ეკავა სხვა იტალიურ სახელმწიფოებს შორის. თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო იზოლირებული იყო ზღვაზე გასასვლელისაგან, მაგრამ სამაგიეროდ ყველაზე მოწინავე იყო იმ დროისათვის მანუფაქტურული წარმოებითა და სავაჭრო მიმოქცევით. იმის გამო, რომ ქალაქს არ გააჩნდა ფლოტი, დამოკიდებული იყო მისდამი სხვა სახელმწიფოების კეთილგანწყობაზე; მისცემდნენ თუ არა ისინი გემებსა და ტრანზიტის უფლებას.

ზღვაზე გასასვლელის უქონლობა ფლორენციას ხელს უშლიდა ეწარმოებინა დამოუკიდებული ვაჭრობა და დამოკიდებულს ხდიდა მეზობელ ქალაქებზე: პიზაზე, რომელიც კეტავდა ზღვაზე გასასვლელს და სიენაზე, რომელიც გზას უღობავდა რომისაკენ (17, 212).

საშინაო წარმოებისა და სავაჭრო კაპიტალის ზრდამ, ფლორენციაში განსაკუთრებით ხელი შეუწყო საბანკო საქმისა და მევახშეობის განვითარებას (18, 31). ფლორენციელი ბანკირების კანტორები საბანკო ოპერაციებს აწარმოებდნენ იტალიის თითქმის ყველა მნიშვნელოვან ქალაქში, საფრანგეთში, ესპანეთში, პორტუგალიაში, ინგლისში. მარტო ალბიცის კომპანიას თავისი ბანკები ჰქონდა ცხრა ქალაქში, პერუცის 16 ქალაქში 134 აგენტით, რომლებსაც უკვე XIV საუკუნეში მარტო ფლორენციაში 80 ბანკი ჰქონდათ (8, 11). ისინი საბანკო ოპერაციებს აწარმოებდნენ ლონდონში, ლიუბეკში, ნოვგოროდში, სპარსეთში და ეგვიპტეში (928, 33). კოზიმო მედიჩზე ამბობდნენ, რომ ის ხელს უმართავდა ყველას: პატარა ადამიანებსაც და დიდებულებსაც, თვით მეფეებსაც

კი, უფრო მეტიც, ის ამბობდა, რომ შეეძლო თვით ღმერთისათვისაც ესესხებინა ფული (27, 284).

უზარმაზარ შემოსავალს იღებდა ფლორენცია მაუდის დამამზადებელი მანუფაქტურებიდან, რომლებშიც 30 ათასამდე მაუდის დამამზადებელი მუშაობდა ქალაქის 120-125 ათასი მოსახლეობიდან. მანუფაქტურების რიცხვი კი 200-300 ითვლიდა, სადაც ყოველწლიურად 80 ათასი მაუდის ნაჭერი მზადდებოდა (27, 284). ყოველივე ამან განაპირობა, რომ XIV ს. დასაწყისში ფლორენცია იქცა მაუდის წარმოებისა და საბანკო ოპერაციების ცენტრად, რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო მის ეკონომიკურ აყვავებასა და ადრეული კაპიტალისტური ურთიერთობების ჩასახვას. მაგრამ მათ წარმატებით განვითარებას ხელს უშლიდა მრავალი პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორი. ამიტომაც XV საუკუნეში ეს პროცესი რამდენადმე შენელდა.

XV საუკუნეში ევროპაში აღმოცენდა ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოები, რომლებმაც დაიწყეს მაუდის დამამზადებელი ნედლეულის გაზიდვა ევროპის ბაზრებზე, რითაც იტალიას შეუზღუდეს შემოსავალი საბანკო ოპერაციებიდან.

მაუდის წარმოებაში ფლორენციის მთავარი მეტოქე ინგლისი გახდა მას შემდეგ, რაც ხელისუფლების სათავეში ტიუდორები მოვიდნენ, რომლებმაც საკუთარი მანუფაქტურები დააარსეს მატყლის წარმოებაში. გარდა ამისა, ინგლისს მეტად აღარ სჭირდებოდა ფლორენციელი ბანკირების საკრედიტო კაპიტალი, რომლებსაც თან კოლოსალური პროცენტები ახლდა. ინგლისის სახით ფლორენციამ დაკარგა ყველაზე მსხვილი მევალე და მატყლის მთავარი მიმწოდებელი, ინგლისურმა მაუდმა კი მსოფლიო ბაზარზე შეავიწროვა ფლორენციული ნაწარმი.

1453 წელს თურქების მიერ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ ფლორენციის სავაჭრო ურთიერთობები აღმოსავლეთთან შემცირდა, დაეცა მოთხოვნილება მაუდის ნაწარმზეც.

XV საუკუნის დასასრულს დაწყებულმა დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა საფრთხე შეუქმნა ფლორენციასა და იტალიის სხვა ქალაქებს დარჩენილიყვნენ ახალი სავაჭრო გზაჯვარედინების მიღმა.

საქონელბრუნვის შემცირებამ ფლორენციაში, როგორც მთლიანად იტალიაში, გამოიწვია ძირეული ცვლილებები სოფლის მეურნეობაში — დაიწყო კაპიტალდაბანდება მიწაზე და არცთუ შემთხვევით. ამ წამოწყების სათავეში აღმოჩნდნენ იმ დროის უმდიდრესი ადამიანები — ბანკირი მედიჩები, რომელთაც სურდათ შეენარჩუნებინათ თავიანთი კაპიტალი მიწის საკუთრების ფლობის ფორმით.

მინის ახალ მესაკუთრეთა გამოჩენამ შეცვალა მოიჯარეთა მდგომარეობა: გაუარესდა მათი ხელშეკრულებების პირობები, გაიზარდა მინის არენდის გადასახადი, დაწესდა პირადი კონტროლი მინის მესაკუთრისაგან არენდატორზე. ამ უკანასკნელს კი გაქცევისათვის ციხე ელოდა.

ფლორენციაში დაწყებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა კიდევ უფრო გააღრმავა მოსახლეობის სოციალური დიფერენციაცია. ჩამოყალიბდა ძირითადად 3 ფენა: პირველი ე.წ. „მსუქანი ხალხი" („Popolo grasso"). მასში შედიოდნენ: მსხვილი ვაჭრები, სახელოსნო და საბანკო კანტორების მფლობელნი; მეორე ჯგუფს წარმოადგენდა ე.წ. „გამხდარი ხალხი" („Popolo minuto") ანუ წვრილი ვაჭრები და ხელოსნები. და ბოლოს დაქირავებული მუშები ე.წ. „ჩომპი".

ფლორენციაში ეკონომიკის სფეროში „Popolo grasso" გაბატონებული იყო XIII საუკუნის დასაწყისიდან. ფულის გარდა ისინი ასევე ფართოდ იყენებდნენ პოლიტიკურ რეგალიებსაც. როგორც ცნობილია, მმართველობის უმაღლესი ორგანო — სინიორია ძირითადად მათი წრიდან იყო დაკომპლექტებული.

„Popolo minuto" ჩამოშორებული იყო ქალაქის მმართველობისაგან. ინტერესთა შეუთავსებლობის გამო ე.წ. „მსუქნები" და „გამხდრები" ერთმანეთს აშკარად ებრძოდნენ. რაც შეეხება ჩომპებს, მათ თითქმის არანაირი უფლებები არ გააჩნდათ.

1434 წელს ხანგრძლივი ბრძოლების შედეგად უმდიდრეს ოჯახებს შორის ფლორენციის ფაქტობრივი მმართველი გახდა კოზიმო მედიჩი (1434-1464წწ.). მედიჩების ბატონობა, ხანმოკლე შესვენებებით, გაგრძელდა დაახლოებით 3 საუკუნე, თავდაპირველად ჯერ სინიორიის, შემდეგ კი საჰერცოგოს სახით.

კოზიმო მედიჩის მმართველობის დროს ჯერ კიდევ შენარჩუნებული იყო რესპუბლიკური მმართველობის ფორმა და უმაღლეს ორგანოდ კვლავ სინიორია ითვლებოდა. ყველა მნიშვნელოვან სახელმწიფო თანამდებობაზე კოზიმო მედიჩის მომხრეები იმყოფებოდნენ.

კოზიმო მედიჩის გარდაცვალების შემდეგ ფლორენციის ახალი მმართველი გახდა მისი ავადმყოფი ვაჟი პიერო (1464-1469წწ.). იგი უფრო დიდვაჭარი და მსხვილი ბანკირი იყო, ვიდრე პოლიტიკოსი. რუსი მკვლევარი მ.გუკოვსკი ძალზე ლაკონიურად ახასიათებს მის მმართველობას შემდეგი სიტყვებით: „მან ისევე მშვიდად განასრულა თავისი მმართველობა, როგორც დაიწყო" (30, 109).

მედიჩებმა განსაკუთრებულ დიდებას მიაღწიეს ლორენცო ბრწყინვალის ხელისუფლების წლებში (1469-1492წწ.), რომლისთვი-

საც დამახასიათებელი იყო ფხიზელი გონება, ჭეშმარიტი ტალანტი და გარეგნული პომპეზურობა. მისი სასახლის კარის სიმდიდრე ძალზე მასშტაბური იყო — ხშირად იმართებოდა სადღესასწაულო ტურნირები, იწვევდნენ ცნობილ მწერლებს, პოეტებსა და მხატვრებს. ფლორენციის ისტორიაში მისი მმართველობა ცნობილია ძირითადად მოქნილი დიპლომატიითა და ხელოვნების საოცარი აყვავებით. მისი დიპლომატია მიმართული იყო იტალიაში სამხედრო დაპირისპირებების აღკვეთისაკენ, ხოლო ფლორენცია კულტურისა და ხელოვნების ცენტრად იქცა „ევროპული ცივილიზაცია — ეს არის უდიდესი ნაწილი იტალიური ცივილიზაციისა, იტალიური — ტოსკანურისა, ტოსკანური კი ფლორენციული ცივილიზაციისა" — წერდა იტალიელი მკვლევარი ტომაზეო (39, 67).

მშენებლობებზე, წიგნების შეძენაზე, პოეტებისა და მხატვრების ნახალისებაზე დიდი თანხები იხარჯებოდა. 1434-1471 წლებში მედიჩებმა მხოლოდ ხელოვნების განვითარებისათვის დახარჯეს 663755 ოქროს ფლორინი (29, 278).

ლორენცოს კარის სიდიადე და ხელოვნებისადმი მეცენატობა ერწყმოდა მის ჭკვიანურ და ამავე დროს მკაცრ პოლიტიკას. მისი ბრძანებით სასტიკად იქნა ჩახშობილი ფლორენციისადმი დაქვემდებარებულ ქალაქებში მომხდარი ამბოხებები — 1470 წელს — პისტოიაში, 1472 წელს — ვოლტერენში.

ლორენცოს თვითმპყრობელურმა პოლიტიკამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მის მოწინააღმდეგეთა შორის. პაცების გავლენიანმა ბანკირთა ოჯახმა 1478 წელს მოამზადა შეთქმულება ლორენცოსა და მისი ძმების განადგურების მიზნით. ლორენცოზე წარუმატებელი თავდასხმის შემდეგ, შეთქმულები მკაცრად იქნენ დასჯილი. ამის შემდეგ მედიჩების ხელისუფლება დიქტატურად გადაიქცა. ბრანდის განმარტებით, ეს მომენტი ტირანიის დაბადებად იქცა (14, 115).

ლორენცო მედიჩის სიკვდილის შემდეგ ფლორენციას მართავდა მისი ვაჟი პიერო (1492-1494წწ.), ის არათანამიმდევრული და სუსტი პოლიტიკოსი აღმოჩნდა, რომელიც მოკლებული იყო მმართველობის უნარს. 1494 წელს, პიერო შეშინებული იმით, რომ ტოსკანა ფრანგებმა იგდეს ხელთ, ცდილობდა როგორმე შეენარჩუნებინა თავისი ძალაუფლება. მან ფლორენციის საკუთრებაში მყოფი ჩრდილოეთის ციხესიმაგრეები ფრანგებს გადასცა. ამას შედეგად მოჰყვა ფლორენციელთა მორიგი ამბოხება პიეროს წინააღმდეგ. მასში გაერთიანდნენ ფლორენციის მდიდარი და გავლენიანი ოჯახები, რესპუბლიკური სულისკვეთებით გაჟღენთილი საშუალო ფე-

ნები და სახალხო მასები. შეშინებული პიერო ფლორენციიდან გაიქცა და საფრანგეთის მეფე შარლ VIII შეაფარა თავი.

მედიჩების ოპოზიციის სულისჩამდგმელი იყო დომინიკანელი ბერი ჯიროლამო სავონაროლა, რომელიც 1482 წლიდან ცხოვრობდა ფლორენციაში, სან მარკოს მონასტერში. აღდგენილ რესპუბლიკაში მან მოიპოვა უდიდესი ავტორიტეტი, განსაკუთრებით მოსახლეობის ფართო ფენებში. სავონაროლამ, როგორც ბრწყინვალე ორატორმა, სწრაფად მოიპოვა გავლენა სახელისუფლებო წრეებში. „სავონაროლას ქადაგებებში შეიმჩნეოდა მისი ნატურისათვის დამახასიათებელი მგზნებარე მისტიკის შერწყმა პრაქტიკულ განსჯასთან". ასე ახასიათებს მას რუსი მკვლევარი ზაიჩიკი (26, 207). დაახლოებით ასევე აფასებდა მას ცნობილი იტალიელი მკვლევარი პ.ვილარი: „იგი გამოირჩეოდა ხასიათისა და ჭკუის დიდი დამოუკიდებლობით. გარდა ამისა, იგი არ წყდებოდა ცხოვრების სიბრძნეს, თუმცა ძალზე ხშირად საუბრობდა ვითარცა შეშლილი" (18, 218).

სავონაროლას სამოქმედო პროგრამა მიმართული იყო იტალიის პოლიტიკური და რელიგიური განახლებისაკენ. იგი აშკარად თანაუგრძნობდა სახალხო მმართველობის იდეას (governo universale) და ახერხებდა მთელი რიგი დემოკრატიული რეფორმების გატარებას (საბანკო-საკრედიტო სისტემის შექმნა, ქალაქიდან ევროპელი მევახშეების განდევნა და ა.შ.).

სავონაროლას ქადაგებებმა კოლოსალურ წარმატებებს მიაღწიეს. 4 წლის განმავლობაში (1494-1498წწ.) წლებში მას არ ეჭირა არანაირი ოფიციალური თანამდებობა, მიუხედავად ამისა, სავონაროლა ფაქტიურად ხელმძღვანელობდა ქალაქის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებას. მის დროს განხორციელდა ფლორენციის სახელმწიფოებრივი მოწყობის რეორგანიზაცია, შეიქმნა დიდი საბჭო. მისი გავლენით იქნა მიღებული მკაცრი კანონები მიმართული თავისუფალი ქცევის წესებისა და გართობების წინააღმდეგ. კანონების დამრღვევი მკაცრად ისჯებოდა. ამის თვალსაჩინო ნიმუშია ფლორენციაში 1497 წელს აგიზგიზებული კოცონები, სადაც სახალხოდ წვავდნენ ხელოვნების ნიმუშებს. განსაკუთრებით შეუწყნარებელი იყო სავონაროლა სიმდიდრისა და განცხრომის მიმართ, რომლითაც განთქმული იყო ლორენცო ბრნყინვალის მმართველობა.

დომინიკანელი ბერი სავონაროლა ცდილობდა ფლორენცია გადაექცია აღორძინების ეპოქის ქალაქ-მონასტრად. იგი გამოდიოდა

სიმდიდრის აკრძალვის მოთხოვნით, თუმცა ამავე დროს წინააღმდეგი არ იყო საერთოდ საკუთრებისა. სავონაროლა ოცნებობდა ძლიერ ფლორენციაზე, იგი მხარს უჭერდა მჭიდრო კავშირს საფრანგეთის მეფე შარლ VIII; თავის ქადაგებებში წყევლა-კრულვას უთვლიდა გარყვნილ რომს და ეწეოდა აქტიურ ბრძოლას რომის პაპის ალექსანდრე VI წინააღმდეგ. მაგრამ ამავე დროს არ წყვეტდა კავშირს კათოლიციზმთან.

სავონაროლა მარტოსული იბრძოდა პაპ ალექსანდრე VI წინააღმდეგ, რომელმაც იგი 1498 წელს ეკლესიიდან განკვეთა. პაპის გადაწყვეტილებით შეშინებული ფლორენციელები გულგრილი აღმოჩნდნენ სავონაროლას ბედის მიმართ. 1498 წელს იგი შეპყრეს და გადასცეს საეკლესიო სასამართლოს, სადაც მას წარედგინა რელიგიური და პოლიტიკური ხასიათის ბრალდებები და როგორც ერეტიკოსი, ფლორენციის სინიორიის მოედანზე კოცონზე დაწვეს. თუმცა მის მიერ შემოღებულმა სახელმწიფო მოწყობამ 1512 წლამდე იარსება, მედიჩების რესტავრაციამდე.

1498 წლიდან 1512 წლამდე ქალაქში ბატონობდა ხელოვნურად ორგანიზებული საშუალო კლასი არისტოკრატიულ ფენასთან ერთად. მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკის სათავეში იდგა მუდმივად არჩეული გონფალონიერი პიერო სოდერინი, ფაქტობრივად მისი ძალაუფლება უმნიშვნელო იყო (7, 10). მაკიაველი აღმოჩნდა ახალ ხელისუფლებაში ათთა კოლეგიის მდივნის თანამდებობაზე, რომელიც რესპუბლიკის არსებობის პერიოდში ერთგულად ემსახურებოდა ქალაქს და მის მმართველებს.

ფლორენცია სავონაროლას დემოკრატიული რეფორმებიდან გადავიდა სოდერინის ზომიერ-ბურჟუაზიულ მმართველობაზე, მაგრამ სახელმწიფოებრივი მმართველობის ფორმები ძველებური რჩებოდა. სახელმწიფოს სათავეში იდგა დიდი საბჭო — Consilio Maggiore, ჯერ კიდევ სავონაროლას დროიდან არსებული (1494 წლის დეკემბრიდან). ვილარის მიხედვით, ფლორენციის მოსახლეობა შეადგენდა 90 ათას ადამიანს, მათგან სრულფასოვანი მოქალაქე — benefiziati შეადგენდა დაახლოებით 3900 კაცს; ამ მოქალაქეთა ერთი მესამედი შედიოდა საბჭოს შემადგენლობაში (19, 209).

1494 წლიდან 1512 წლამდე ფლორენციაში მეტნაკლებად დემოკრატიული პოლიტიკური წყობა იყო არა მხოლოდ იტალიის სხვა სახელმწიფოებთან შედარებით, არამედ თვით ფლორენცის სხვა მმართველებთან შედარებითაც.

ასე, მაგალითად, „მედიჩების დროს, სავონაროლამდე და პიერო სოდერინის შემდეგ, სრულფასოვან მოქალაქეთა რაოდენობა შემცირდა რამდენიმე ასეულ კაცამდე“ (6, 67). განსხვავება მეტად მნიშვნელოვანი იყო და ამიტომაც იმ წლებში ფლორენცია წარმოადგენდა იტალიის ყველაზე დემოკრატიულ რესპუბლიკას.

ძალაუფლებისათვის ბრძოლა დასრულდა 1502 წელს, როდესაც შემოღებულ იქნა ფლორენციის რესპუბლიკის მუდმივი გონფალონიერის (მედროშე) თანამდებობა, რომელზეც დაინიშნა პიერო სოდერინი. მას მიეცა საკანონმდებლო ინიციატივისა და სასამართლო საქმეებში ჩარევის უფლება. იგი კარგი ორატორი იყო, მაგრამ არ გააჩნდა საკმარისი ენერგია ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საწარმოებლად. მის დროს განსაკუთრებულ ნდობას იმსახურებდა ათთა კოლეგიის მდივანი ნიკოლო მაკიაველი.

ფლორენცია ჯერ კიდევ რჩებოდა უმდიდრეს ქალაქად. უწინდელი დროიდან შემორჩენილი კაპიტალი საშუალებას აძლევდა აქტიური მონაწილეობა მიეღო საერთაშორისო პოლიტიკაში. თუმცა ეს ბაზა წლიდან წლამდე მცირდებოდა. ამას ხელს უწყობდა აგრეთვე ევროპელი მონარქების ბრძოლა იტალიის დაპყრობისათვის, რაც განსაკუთრებით მძიმედ აისახა ფლორენციის ფინანსებზე.

არსად იტალიაში დამპყრობელთა ლაშქრობებს არ მოუხდენია ისეთი ცვლილებები და არ ჰქონიათ ისეთი სერიოზული შედეგები, როგორც ფლორენციაში.

მშფოთვარე პოლიტიკური მოვლენები, რომლებიც ფლორენციაში XV საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნის დასაწყისში იყო, ასახვა ჰპოვეს მის საგარეო პოლიტიკაზეც. ის ძალდატანებით ირეკლავდა ყველა იმ ცვლილებას, რომელიც იტალიაში ხდებოდა ევროპის სახელმწიფოების შემოჭრის შემდეგ და ახორციელებდა რთულ საგარეო პოლიტიკას. მისი ყურადღების ცენტრში იმყოფებოდა ქალაქი პიზა, რომელმაც დამოუკიდებლობა მოიპოვა 1494 წელს ფრანგების ლაშქრობის შემდეგ იტალიაში და არ ისურვა ფლორენციის პროტექტორატში დაბრუნება შარლ VIII ლაშქრობების დამთავრების შემდეგაც.

პიზისადმი მძაფრი დაინტერესება გამოწვეული იყო ფლორენციისათვის ზღვაზე გასასვლელის მოპოვებაში. ამით აიხსნებოდა ის სიჯიუტე, რომლითაც ფლორენციას 14 წელი ალყა შემორტყმული ჰყავდა პიზა. კოლოსალურმა თანხებმა, რომლებიც სამხედრო საჭიროებისათვის იხარჯებოდა, დააცარიელა ხაზინა. პიზისათვის ბრძოლას ართულებდა საფრანგეთის ფარული დახმარება და სრუ-

ლიად აშკარა დახმარება ვენეციის მხრიდან. ამასთან დაკავშირებით მაკიაველი წერდა: „პიზელებმა იმდენად გააჭიანურეს ალყა, რომ ფლორენციელები აიძულეს ეყიდათ ის, რისი მიღებაც მათ შეეძლოთ იარაღის ძალით“ (5, 427). მხოლოდ 1509 წელს საბოლოოდ ძალაგამოცლილმა ფლორენციამ უკან დაიბრუნა პიზა.

მაგრამ ფლორენცია არ დაუძლურებულა მხოლოდ პიზასთან ბრძოლით. 1494 წელს პიზის გარდა მან დაკარგა თავისი სიმაგრეები ჩრდილოეთში, რომლებიც პიერო მედიჩიმ შარლ VIII გადასცა, შემდგომ წლებში კი ისარგებლეს რა ფლორენციის დასუსტებული სამხედრო ძლიერებით მთელმა რიგმა ქალაქებმა: არეცომ, კორტონამ, ფაიანომ, ბიბიენამ და ველდიკიანოს მთელმა ოლქმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს.

მათთან ბრძოლაში ფლორენციას განუწყვეტლივ უწევდა საფრანგეთისათვის დახმარების თხოვნა. ლუი XII მეგობრობა ძალიან ძვირი ჯდებოდა, მაგრამ შედეგები უმნიშვნელო იყო, რადგანაც საფრანგეთი საიდუმლოდ მის მტრებს ეხმარებოდა. უწინდელი სამფლობელოების დაბრუნებისათვის ბრძოლამ და ძვირადღირებულმა მეგობრულმა ურთიერთობებმა საფრანგეთთან მოსპო ფლორენციის ფინანსური რესურსები, რომელიც ისედაც უკვე ეკონომიკურ კრიზისს განიცდიდა.

რთული სიტუაცია იყო რომთან დამოკიდებულებაშიც. პაპის ალექსანდრე VI მისწრაფება შეექმნა შვილისათვის ჩეზარე ბორჯასათვის საერო სახელმწიფო რომანიაში, საფრთხეს უქმნიდა ფლორენციას, რადგანაც მეზობლად ძლიერი სათავადოს არსებობა მის სავაჭრო ინტერესებზე უარყოფითად აისახებოდა და ამასთან ერთად მის ტერიტორიებსაც დაპყრობით ემუქრებოდა.

ყოველივე ეს ძაბავდა სიტუაციას რომთან, მხოლოდ ალექსანდრე VI სიკვდილმა და ჩეზარე ბორჯას დაცემამ იხსნა ფლორენცია მძიმე მდგომარეობიდან, მაგრამ არ გაუთავისუფლებია რომის მუდმივი კონტროლისაგან. ეს დამოკიდებულება შერბილდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც პაპის ტახტზეც და მის გარშემოც მედიჩები აღმოჩნდნენ.

სერიოზულ საკითხად რჩებოდა ფლორენციისათვის ურთიერთობა ვენეციასთან, რომელიც თავისი ტერიტორიების გაფართოებას ცდილობდა, რაც უშუალოდ საფრთხეს უქმნიდა ფლორენციას. ვენეციის საკითხი ცენტრალურ საკითხად იქცა მაშინდელი დიპლომატიისათვის. ფლორენცია აქტიურ მონაწილეობას იღებდა მის მოგვარებაში.

თურქებთან ბრძოლის შემდეგ ვენეცია, რომელმაც თავისი სამფლობელოები დაკარგა აღმოსავლეთში, დანაკარგის ანაზღაურებას იტალიის დამორჩილებით ცდილობდა. მან დაიწყო დაპყრობითი ომი terra firma-ზე ლომბარდიასა და რომანიაში. ამასთან ერთად აქტიურად დაიწყო, იტალიის საქმეებში ჩარევა. რითაც მან მრავალი იტალიური სახელმწიფოს ინტერესები შელახა, ძირითადად კი რომის პაპისა და ფლორენციის. მან დაიპყრო რავენა, ჩერვია, ფაენცა, რიმინი, იმოლი და ჩეზენი, რომლებზეც პრეტენზიებს აცხადებდა პაპი და აშკარად ეხმარებოდა პიზას ფლორენციასთან ბრძოლაში. ადრინდელი სავაჭრო მეტოქეობა ვენეციასთან საფრთხეს უქმნიდა მის გადაზრდას საომარ შეტაკებებში. ამით შეშფოთებულმა ფლორენციამ რომში გაგზავნა თავისი საუკეთესო დიპლომატი ნიკოლო მაკიაველი, რომელმაც სახელი გაითქვა პიზის ალყის დროს, საფრანგეთთან და ჩეზარე ბორჯასთან მოლაპარაკებებისას.

მიუხედავად იმისა, რომ ფლორენციამ ამ დროისათვის პიზა უკან დაიბრუნა, მაინც შეინარჩუნა ნეიტრალიტეტი. ის სამართლიანად ითვლებოდა სამხედრო კოალიციის სულისჩამდგმელად ვენეციის წინააღმდეგ ბრძოლაში. მის ორგანიზატორად კი მაკიაველი. ამ რთული და დაძაბული საგარეო პოლიტიკის შედეგს წარმოადგენდა 1508 წლის დასასრულს კამბრეს ლიგის შექმნა.

ამგვარად, ფლორენციის საგარეო პოლიტიკიდან XV საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნის დასაწყისისათვის შეიძლება აღინიშნოს ოთხი ძირითადი საკითხი: პიზის დაპყრობა, საფრანგეთთან მეგობრობის შენარჩუნება და მისგან დახმარების მიღება, დიპლომატიური ურთიერთობების მოწესრიგება რომთან და ვენეციასთან მეტოქეობა.

1512 წელს ესპანური იარაღის დახმარებით ფლორენციაში აღდგენილ იქნა მედიჩების ძალაუფლება. მათ ფლორენციის მართვა დაიწყეს ერთპიროვნულად. მედიჩებს არც კი უზრუნიათ იმაზე, რომ ფლორენციას თუნდაც გარეგნულად შეენარჩუნებინა რესპუბლიკური ფორმა. უფრო მეტიც, ფლორენციას ისინი უყურებდნენ, როგორც ერთ-ერთ საკუთარ სამფლობელოს. ხელისუფლების დასაყრდენს წარმოადგენდნენ ესპანელთა ჯარები, მათი წასვლის შემდეგ ფლორენციიდან, კი მსხვილი ბურჟუაზიის ნაწილი, რომელმაც კაპიტალი დააბანდა მიწათმფლობელობაში.

1527 წელს გერმანელების ჯარმა იმპერატორ კარლ V მეთაურობით ბარბაროსულად გაძარცვა რომი — sacco di Roma. ამ საშინელმა ცნობამ ფლორენციაში დიდი შეშფოთება გამოიწვია და მე-

დიჩებისა და უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ ამბოხების მიზეზი გახდა. მედიჩები მოღალატეებად გამოაცხადეს, განდევნეს ისინი და ფლორენციაში რესპუბლიკური წყობა აღადგინეს, რომელმაც 1527 წლიდან 1530 წლამდე იარსება.

ბრძოლა ძალაუფლებისათვის სხვადასხვა სოციალურ დაჯგუფებებს შორის დამთავრდა საშუალო ვაჭრებისა და ხელოსნების გამარჯვებით, რომლებსაც მიემხრო მსხვილი ბურჟუაზიის ნაწილი და ქალაქის მოსახლეობის დაბალი ფენები.

1522 წელს რესპუბლიკის გონფალონიერად არჩეულ იქნა ფრანჩესკო კარდუჩი. ფლორენციის წინააღმდეგ დაიძრა 40 ათასი ესპანელი და პაპის ჯარისკაცი. ქალაქს კი მხოლოდ 10 ათასი ჯარისკაცი იცავდა. 11 თვე გრძელდებოდა გმირული დაცვა, ქალაქის დაცვის დროს დაიღუპა ფრანჩესკო კარდუჩი. 1530 წელს ფლორენცია დაეცა და იქ საბოლოოდ გამაგრდნენ მედიჩები ესპანური იარაღის დახმარებით (27, 465). 1513 წელს ფლორენცია საპერცოგოდ გამოცხადდა. 1532 წელს პაპის კლიმენტი VII შვილმა ალესანდრო მედიჩიმ მიიღო ჰერცოგის ტიტული. რესპუბლიკური თავისუფლება ფლორენციაში საბოლოოდ იქნა განადგურებული. ფაქტიურად ამით მოისპო ტოსკანის პოლიტიკური დამოუკიდებლობაც.

მთელი ამ ათწლეულის მანძილზე არც პროგრესირებადმა ეკონომიკურმა კრიზისმა, არც პოლიტიკურმა ბრძოლამ, არც ძარცვარბევამ ომების დროს იტალიაში, ვერ შეაჩერა ფლორენციაში ხელოენებისა და დემოკრატიული აზროვნების განვითარება. მართალია, ლორენცო ბრწყინვალის სიკვდილის შემდეგ, ხელოვნებას ისეთი აყვავებისათვის აღარ მიუღწევია, მაგრამ კიდევ დიდხანს დარჩა ფლორენცია მეცნიერებისა და კულტურის ცენტრად.

მუდმივი პოლიტიკური დაძაბულობა, რომელშიც ფლორენცია ლორენცოს სიკვდილის შემდეგ იმყოფებოდა (1492 წ.), მემკვიდრეობითი ჰერცოგობის დამყარებამდე (1531 წ.), ხელს უწყობდა პოლიტიკური აზრის განვითარებას. სწორედ ეს პერიოდი ემთხვევა ფლორენციაში ნიკოლო მაკიაველის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

ნიკოლო მაკიაველი და მისი ეპოქა

ნიკოლო დი ბერნარდო მაკიაველი, წარმოშობით ფლორენციელი, პოლიტიკური მოღვაწე და მოაზროვნე, მეცნიერი-ანალიტიკოსი, ჰუმანისტი, მორალისტი, ისტორიკოსი, მწერალი, სამხედრო-თეორეტიკოსი, პატრიოტი, დაკვირვებული მოწმე და უშუალოდ აქტიური მონაწილე იყო იმ მშფოთვარე ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენებისა, რომლებიც ფლორენციაში მიმდინარეობდა მისი ცხოვრების წლებში (1467-1527წწ.), როდესაც იქ რამდენჯერმე შეიცვალა პოლიტიკური რეჟიმი: 1494, 1498, 1502, 1512 და 1527 წლებში.

ეს იყო ეპოქა ცბიერი და მოქნილი დიპლომატის ლორენცო ბრწყინვალისა (1469-1492წწ.) მდიდრული დღესასწაულებითა და მშენებლობის გრანდიოზული მასშტაბებით; პიერო მედიჩის უდღეური მმართველობისა (1492-1494წწ.), სამარცხვინოდ რომ გაიქცა საფრანგეთის მეფე შარლ VIII, პირქუში ბერისა და ბრწყინვალე ორატორის ჯიროლამო სავონაროლას ფაქტიური მმართველობისა (1494-1498წწ.), დემოკრატიული წყობის აღდგენისა (1502-1512წწ.), როდესაც პიერო სოდერინიმ ფლორენციის დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება სცადა ვენეციასთან, საფრანგეთთან, რომის საღვთო იმპერიასა და რომის პაპთან; ეს იყო ეპოქა რესპუბლიკის კატასტროფული დაცემისა და მედიჩების მმართველობის რესტავრაციისა, ათის საბჭოს ლიკვიდაციისა (1512წ.) და რესპუბლიკის მოკლე დროით აღდგენისა 1527 წელს, როცა მაკიაველი გარდაიცვალა.

XV-XVI საუკუნეები — ეს არის ეპოქა, როდესაც იტალია ევროპული კულტურის მედროშე ხდება. ეს არის ეპოქა, როდესაც ჰუმანის-

ტი ერუდიტების მთელი პლეადის გრანდიოზულმა ინტელექტუალურმა საქმიანობამ მოკლე ხანში შეძლო შუასაუკუნეობრივ ფასეულობათა მთელი სისტემის გადაფასება და ახალი მიმართულება მისცა იტალიური და არა მარტო იტალიური ცივილიზაციის შემდგომ განვითარებას.

ამ ეპოქაში ცხოვრობდნენ და გენიალურ შედევრებს ქმნიდნენ: ბოტიჩელი, ლეონარდო და ვინჩი, მიქელანჯელო, რაფაელი, ბრამანტე, ტიციანი, არიოსტო, მაკიაველი, გვიჩარდინი და სხვა ჰუმანისტები. ყველა მათგანი გამოხატავდა თავიანთი ეპოქის ისტორიულ-პოლიტიკური და მორალური ტენდენციების წინააღმდეგობრიობას. ისინი, დროის ერთი და იმავე პერიოდში მცხოვრებნი, მაგრამ ტალანტით, ხასიათითა და შემოქმედებით სრულიად განსხვავებულები, მივიდნენ საზოგადოების სულიერი ცხოვრების კვლევამდე და შექმნეს მდიდარი და სხვადასხვაგვარი ჰუმანისტური სამყარო, რითაც ძლიერი ბიძგი მისცეს მეცნიერების, ხელოვნებისა და კაცობრიობის განვითარებას.

მაკიაველის ცხოვრების წლები დაემთხვა პერიოდს, როდესაც იტალიაში აღორძინებამ თავის ზენიტს მიაღწია, როცა ადამიანი გონების, ხასიათისა და ტალანტის ჭეშმარიტად მაღალი ღირებულებების მატარებელი გახდა.

ბიოგრაფიული ცნობები მაკიაველის შესახებ მეტად ძუნწია. მისი თანამედროვეები თითქმის არაფერს წერდნენ მასზე, მისი სიკვდილის შემდეგ არავის უფიქრია მისი ბიოგრაფიის შედგენა. თვითონ კი არაფერს წერდა თავის თავზე და არ დაუტოვებია ბიოგრაფიული ხასიათის რაიმე ღირებული და მნიშვნელოვანი ცნობა, გარდა მეგობრებისადმი მიწერილი მრავალრიცხოვანი წერილისა და მრავალრიცხოვანი ანგარიშისა, რომელსაც ის სინიორიას წარუდგენდა თავისი სამსახურებრივი ან დიპლომატიური მოღვაწეობის შესახებ.

ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ მან დატოვა თავისი შესანიშნავი თხზულებები, რომლებშიც სრულიად და გამომსახველად არის იგი წარმოჩენილი, როგორც თეორეტიკოსი, მოაზროვნე, პოლიტიკოსი და ანალიტიკოსი. მაკიაველის ცხოვრება — ეს არის მისი შემოქმედებითი ქმნილებები, რომლებმაც დროს გაუძლეს და ყველა ეპოქისათვის სახელმძღვანელოდ იქცნენ. „ფილოსოფიისა და მწერლობის ისტორიაში — წერდა XIX საუკუნის ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსი ფრანკი, — იშვიათად თუ შეხვდებით მეორე სახელს, რომელსაც ერთდროულად უფრო გმობდნენ და უფრო ადიდებდნენ, რომელიც უფრო სხვადასხვაგვარად და უფრო ცუდად ესმოდათ და

თხზულებებს, რომლებსაც უფრო ხშირად იმოწმებდნენ და უფრო ნაკლებად კითხულოდნენ, ვიდრე მაკიაველის სახელი, გენია და თხზულებებია" (1, 38).

მაკიაველის გვარი მიეკუთვნებოდა ტოსკანის ძველ, პატრიციულ მოდგმას. მათ საგვარეულო გერბზე გამოსახული იყო ცისფერი ჯვარი ვერცხლისფერ ფონზე, ჯვრის თითოეულ კუთხეში ცისფერი ლურსმნით. ეს უკანასკნელი წარმოადგენდა სიმბოლოს მაკიაველის გვარის წარჩინებულობისა. აღსანიშნავია. რომ ამ სიტყვისგან წარმოსდგა მათი გვარი. იტალიურად chiavello — ნიშნავს „ლურსმანს", და malchiavello ან machiavello კი — „მავნე ლურსმანს" (8, 353). ამ ტერმინის გაგება კი შეიძლება აღქმული იქნეს იმ ძალის დასახასიათებლად, რომელშიც იგულისხმებოდა, რომ ლურსმანმა შეიძლება ზიანიც მოიტანოს და თავიც დაიცვას.

მაკიაველი თავის გვარს სხვადასხვანაირად წერდა, მსგავსად მისი თანამედროვეებისა და გვიანდელი პერიოდის მკვლევარებისა. მაგ.: Malchavellus, machavellus, Machiavegli, Machiavello, Machiavelli, Machavello, Macciavello, Malchavelli (18, 234). მის სიცოცხლეში ზოგიერთი ახლობელი მას მოფერებით მაკიას ეძახდა.

მაკიაველის ოჯახი წარმოშობით იყო ფლორენციის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ციხესიმაგრე მონტესპერულედან. XIII ს. დასაწყისში მაკიაველის გვარი მონტესპერულედან ფლორენციაში გადავიდა. ეს იყო დრო, როდესაც თავადაზნაურობამ გადანყვიტა ქალაქის მცხოვრებნი გამხდარიყვნენ, ქალაქში გადასახლებულიყვნენ. რაც იქცა არა მარტო მაკიაველის ოჯახის დამახასიათებელ თავისებურებად, არამედ მთელი ფლორენციის სოციალურ გზად XIII-XV საუკუნეებში (8, 356).

ფლორენციაში მაკიაველის ოჯახი ხალხის მხარეზე დადგა და იწოდებოდა „კეთილ მოქალაქეებად". ისინი მიეკუთვნებოდნენ მხურვალე რესპუბლიკელებს, მათ სახელებს ხშირად იხსენიებდნენ რესპუბლიკის ისტორიაში, როდესაც ქალაქებს მართავდნენ მდიდარი ვაჭრები და მაუდის მწარმოებლები (ე.წ. „მსუქანი ხალხი"). მაკიაველის გვარის წარმომადგენლები შედიოდნენ მთავრობაში 13 გონფალონიერსა და 53 პრიორს შორის.

დაწყებული XIII საუკუნიდან, მაკიაველის მემკვიდრეობითი სამფლობელოები თანდათანობით კარგავდა ფასს და XV საუკუნის ბოლოს პრაქტიკულად ძალზე შემცირდა. დარჩა მხოლოდ შეზღუდული უფლება ციხესიმაგრეზე, რაც მას ფაქტობრივად აღარ აძლევდა არანაირ შემოსავალს. პატრონატი ზოგიერთ ეკლესიაზე, მონოპო-

ლია საყოველთაო ზომა-წონის ერთეულის დაწესებაზე, და პატივისცემის ნიშნად ყოველწლიური შემოსავალი ცვილის სანთელიდან და თავისი საგვარეულო გერბის მიმაგრება საზოგადოებრივ ჭაზე, რომელიც მდებარეობდა ქალაქის სავაჭრო მოედანზე.

მაკიაველის ცხოვრება და მოღვაწეობა შეიძლება სამ პერიოდად დაიყოს: პირველი ეს არის მისი დაბადებიდან — სახელმწიფო სამსახურის დაწყებამდე (1469-1498 წ.), როდესაც ხდება მისი, როგორც პიროვნების ჩამოყალიბება; მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მეორე პერიოდი — ფლორენციის რესპუბლიკის სინიორიის მდივნის თანამდებობაზე ყოფნა (1498-1512 წ.), როდესაც იგი წარმოჩინდა როგორც სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე; მესამე პერიოდი ეს არის მისი გაძევების წლები (1512-1527), როდესაც იგი მთლიანად შემოქმედებით მოღვაწეობას იწყებს და ქმნის თავის ბრწყინვალე ნაწარმოებებს.

მაკიაველის მოღვაწეობის პირველი პერიოდის შესახებ იმდენად მწირი ცნობები მოიპოვება, რომ სრული წარმოდგენა თითქმის შეუძლებელია მისი მშობლების, დაბადების, აღზრდისა და განათლების შესახებ 1498 წლამდე, ე.ი. სახელმწიფო სამსახურის დაწყებამდე. ამ პერიოდიდან შემორჩენილია მაკიაველის მიერ დაწერილი რამდენიმე საკარნავალო წერილი და სამი წერილი, რომელთაგან ორი მეგობრისადმი იყო გაგზავნილი.

მაკიაველი იყო საშუალო სიმაღლის, გამხდარი, ძალზე ცოცხალი შავი თვალებით, მუქი ფერის თმით და თხელი, მუდამ მოკუმული ტუჩებით. მის ბაგეებზე ყოველთვის აისახებოდა სარკასტული დამცინავი ღიმილი. და ეს მის მზერაშიც აშკარად იგრძნობოდა. დაახლოებით ასეთი შტრიხებით იყო იგი გამოსახული სიკვდილის შემდეგ პორტრეტებზე, რომლებიც შექმნეს მხატვრებმა ანოლო ბრონზინომ (1503-1572წწ.) და სანტი დი ტიტომ (1536-1603წწ.). ნიკოლო მაკიაველი დაიბადა ფლორენციაში 1469 წლის 3 მაისს უბრალო, ორსართულიან ქვის სახლში, რომელიც ძველი კოშკისაგან იყო გადაკეთებული. მთელი ცხოვრება მან განვლო ამ დიდ ქალაქში და მასთან ახლოს მდებარე პატარა მამულში.

ნიკოლოს ოჯახი საშუალო ფენას განეკუთვნებოდა. მამამისი მესერ ბერნარდო დი ნიკოლუ დი ბუონასენია არც ღარიბი იყო და არც მდიდარი. იგი მკაცრად აკონტროლებდა ოჯახის ბიუჯეტს, რომელიც შედგებოდა ფლორენციის გარშემო მდებარე მიწის ნაკვეთების შემოსავლებისაგან. იქ მომუშავენი მას უხდიდნენ მარცვლეულის მოსავლის ნახევარს, ასევე ყურძნისა და ზეთისხილის ნაწილს. ეს

პროდუქცია ოჯახის მოთხოვნილებებსაც აკმაყოფილებდა და ნაწილიც იყიდებოდა. მაგრამ ეს არ იყო მათი ძირითადი შემოსავალი; მაკიაველის მამა კერძო იურიდიულ პრაქტიკას ეწეოდა. გარდა ამისა, მათ ოჯახს გააჩნდა რამდენიმე სახლი ფლორენციაში. შემოსავლებისა და ოჯახის საქმიანობიდან გამომდინარე, მაკიაველი ხალხის ფენას წარმოადგენდა, ხოლო აღზრდისა და განათლების მხრივ აღორძინების კულტურის პირმშო იყო.

ცნობილია, რომ მაკიაველის მამა ბერნარდო, მომავალი იურისტი, მუდმივად ყიდულობდა იურისპრუდენციის წიგნებს, მათ შორის ძვირადღირებულსაც. იგი ასევე ხშირად იყენებდა წიგნებს კერძო და საეკლესიო-სამონასტრო ბიბლიოთეკებიდან, აქედან გამომდინარე მისი განათლების სფერო საკმაოდ ფართო იყო. მამამისს უყვარდა ანტიკური ლიტერატურა და მის ბიბლიოთეკაში ციცერონის, ტიტუს ლივიუსის, არისტოტელეს, პლინიუსისა და სხვათა თხზულებებთან ერთად ინახებოდა XV საუკუნის იტალიელ ისტორიკოსთა შრომებიც. ყოველივე ამის გამო, მაკიაველი ადრეული წლებიდანვე შეუდგა ანტიკურ ავტორთა თხზულებების გაცნობას და იზრდებოდა ჰუმანისტური ტრადიციების გავლენით. მაგრამ მამამისის ბიბლიოთეკაში თითქმის არ ჩანდა საეკლესიო წიგნები, ბერნარდო მაინცდამაინც არ იყო რელიგიური. ყოველივე ამან ხელი შეუწყო მაკიაველის ბავშვობის ასაკიდან უარყოფითად ყოფილიყო განწყობილი ეკლესიის მიმართ. მოგვიანებით მან დაგმო სავონაროლას რელიგიურ-ფანატიკური მოღვაწეობა და პაპ ალექსანდრე VI უზნეო ქმედებანი.

დედამისის დონა ბართოლომეას შესახებ ცნობილია, რომ ის იყო განათლებული, პოეტური ტალანტის ქალბატონი. როგორც რელიგიური სულის ადამიანმა, მან შექმნა რამდენიმე სასულიერო ხასიათის ლექსი და ჰიმნი. ოჯახში ნიკოლოს გარდა კიდევ სამი ბავშვი ჰყავდათ: უფროსი ძმა ოტო და ორი უმცროსი და: პრიმავერა და მარგარიტა, რომლებიც არაფრით გამორჩეული არ ყოფილან. ოჯახში ნიკოლო ავტორიტეტით სარგებლობდა. მიუხედავად იმისა, რომ მამამისისაგან განსხვავებით, მას იურიდიული განათლება არ მიუღია, ნიკოლოს დაევალა მოხუცი მამის წარმოების საქმიანი მიმოწერა, ოჯახის ინტერესების დაცვა და საგვარეულო უფლებების აღდგენა. ამის შესახებ გვაუწყებს ჩვენამდე მოღწეული ორი იურიდიული ხასიათის წერილი. ისინი მაკიაველის მიერ იყო შედგენილი და გულისხმობდა ოჯახის საკუთრების უფლებასა და მუჯელოში არსებული სანტა მარია დელა ფანიას ეკლესიისადმი დამოკიდებულებას (2, 402). მაკიაველს ჯერ დედა გარდაეცვალა (1496წ.), შემდეგ კი მამა (1500 წ.).

შვიდი წლის ასაკიდან მაკიაველიმ დაიწყო სკოლაში სწავლა, თუმცა იგი ხშირად იცვლიდა მათ, რათა მიეღო აღორძინების ეპოქის შესატყვისი სათანადო განათლება. ეს სკოლები გამოირჩეოდა ჰუმანისტური მიმართულებით. მან შეისწავლა გრამატიკა, ლათინური ენა, ანგარიში და მუსიკა, რომელიც მას ძალიან უყვარდა. როდესაც მაკიაველიმ ჭაბუკობას მიაღწია, მამამისმა შვილს გააცნო იურიდიული მეცნიერება და პრაქტიკა. ყოველივე ამის შედეგად ნიკოლომ მიიღო მყარი ლიტერატურული განათლება, ბრწყინვალედ შეითვისა ლათინური და თავისუფლად კითხულობდა ანტიკურ მწერალთა შრომებს.

„მაკიაველის განათლების ჰუმანისტური მიმართულებისათვის დამახასიათებელი იყო იმ დროის, განსაკუთრებით ლორენცო ბრწყინვალის ეპოქის გავლენა, როდესაც ფლორენციიდან დაიწყო იმ სინათლის გამობრწყინება, რომელმაც შემდგომში მთელი მსოფლიო გაასხივოსნა" — წერდა პასკუალე ვილარი(18, 39). ეს იყო ლიტერატურისა და ხელოვნების არნახული აყვავების ხანა, რომელსაც ლორენცო ყველანაირად ხელს უწყობდა. ის არა მარტო მეცენატი იყო, არამედ იმ დროის გამოჩენილ ადამიანებს შორის გამორჩეული ადგილიც ეკავა, როგორც ცნობილ მწერალს. ლორენცო ნამდვილი ტალანტი იყო, ღრმად განსწავლული. გამოირჩეოდა ერთგულების გრძნობითა და ფუფუნებისადმი უსაზღვრო სიყვარულით.

ლორენცო ბრწყინვალეს მიერ მოწყობილი გასართობი ღონისძიებების გავლენით მაკიაველიმ შექმნა რამდენიმე საკარნავალო სიმღერა, რომელშიც წარმოჩენილი იყო ფლორენციის ამ ძლიერი და შესანიშნავი მმართველის გავლენა. მაგრამ ანტიკურ ტრადიციებზე აღზრდილი მაკიაველი, რომელიც განსაკუთრებით აფასებდა ტიტუს ლივიუსის აზრებს მისი „ისტორიიდან" — რესპუბლიკური მმართველობის უპირატესობის შესახებ, თვითონაც აშკარა რესპუბლიკელი იყო. ამიტომაც არ იზიდავდა მას ხელისუფალთა სიმდიდრე და არ ცდილობდა მათ წრეში მოხვედრას.

შეიძლება მაკიაველის ასეთ იზოლირებაზე ამ სადღესასწაულო ცხოვრებიდან, გავლენა მოახდინა ბავშვობის მოგონებებმა, როცა 9 წლის ასაკში (1478 წ.) პირველი ძლიერი დარტყმა მიიღო მედიჩების სასტიკი ანგარიშსწორებისაგან; როგორც ყველა ფლორენციელი, ისიც მოწმე იყო პაციის უშედეგო შეთქმულების მონაწილეთა სიკვდილით დასჯისა, რომლებიც ჩამოახრჩეს მოქალაქეთა დასაშინებლად. ისინი დიდი ხნის განმავლობაში ეკიდნენ პალაცო ვეკიოს ფანჯრებზე.

1494 წელს შარლ VIII მეთაურობით საფრანგეთის ჯარების შეჭრამ იტალიაში მაკიაველზე ძალზედ მძიმედ იმოქმედა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფრანგთა მეფეს დინასტიური პრეტენზიები ჰქონდა ნეაპოლის ტახტზე. ფრანგებმა გაიარეს მთელი იტალია ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე ისე, რომ რაიმე წინააღმდეგობა პრაქტიკულად არ შეხვედრიათ. მილანოს ჰერცოგი ლოდოვიკო მორო, პაპი ალექსანდრე VI და ვენეცია საერთოდ არ ჩარეულან ნეაპოლის დაცვის საქმეში. საქმე ის იყო, რომ თითოეული მათგანი ამ სამეფოს კონკურენტებს წარმოადგენდნენ. შარლ VIII მოლაპარაკებებს აწარმოებდა იმდროინდელი ფლორენციის მმართველი, „ლორენცო ბრწყინვალეს" ვაჟი პიერრო მედიჩი. მისმა ლავირების ორაზროვანმა პოლიტიკამ მაკიაველი საგონებელში ჩააგდო. ნიკოლო გრძნობდა, რომ მის მშობლიურ ქალაქს დაღუპვა ელოდა. 1494 წელს პიერო მედიჩის წინააღმდეგ ფლორენციაში იფეთქა ამბოხებამ, რის შედეგადაც მმართველი გაიქცა. ამან შეამცირა ფრანგების მხრიდან ქალაქის აღების საფრთხე და მაკიაველის რესპუბლიკური მმართველობის განმტკიცების იმედი მიეცა. ძალაუფლება ხელთ იგდო სავონაროლამ. მაკიაველის არ სჯეროდა მისი გულწრფელობის, ამიტომ მის მიმართ სიმპათია არ გააჩნდა. მართალია, მაკიაველში მოწონებას იწვევდა ბერის გაბედული გამოსვლები ალექსანდრე VI და რომის წინააღმდეგ, მაგრამ ამავე დროს მასში აღშფოთებას იწვევდა ის ფაქტი, რომ რესპუბლიკას მართავდა ბერი. მაკიაველის არც სავონაროლას ფანატიზმი მოსწონდა, რაც ფაქტობრივად გულისხმობდა ფლორენციის გადაქცევას დომინიკანურ მონასტრად.

1494 წელს ფლორენციაში განხორციელდა სამთავრობო ცვლილებები; ზოგი დათხოვეს, ზოგიც თვითონ გადადგა თანამდებობიდან. მაკიაველიმ, რომელიც განსაკუთრებით გამოირჩეოდა სკეპტიციზმით სავონაროლას ხელისუფლებისადმი, გადაწყვიტა მონანილეობა მიეღო ქალაქის მართვაში. 1498 წლის 18 თებერვალს მან კენჭი იყარა სინიორიის მეორე კანცელარიის მდივნის ვაკანსიაზე, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია. სავონაროლას პარტიის წარმომადგენლებმა მიაღწიეს უპირატესობას. თუმცა სავონაროლას ბედი მალევე გადაწყდა, რომელშიც განსაკუთრებული როლი ალექსანდრე VI ბორჯამ ითამაშა. 23 მაისს ხალხი მის წინააღმდეგ გამოვიდა, რასაც მხურვალედ დაუჭირა მხარი მაკიაველიმ. ფლორენციაში, პალაცო ვეკიოზე სავონაროლა ჯერ ჩამოახრჩვეს, შემდეგ მისი გვამი დანვეს, ფერფლი კი მდინარე არნოში გადაყარეს.

ფლორენციაში მიმდინარე ბობოქარმა მოვლენებმა საბოლოოდ

ჩამოაყალიბეს მაკიაველის შეხედულებები. იგი აშკარად გამოხატავდა თავის მკვეთრად უარყოფით პოზიციას როგორც მედიჩების ტირანიის, ისე ბერის ბატონობის წინააღმდეგ.

პოლიტიკური შეფასებებიდან გამომდინარე, მაკიაველი სულ უფრო მეტს ფიქრობდა ზოგადად იტალიისა და კონკრეტულად ფლორენციის გაჭირვებაზე და ცდილობდა მოეძებნა გამოსავალი. იგი სერიოზულად და ღრმად იწყებს ფიქრს ადამიანის ბუნების, მმართველისადმი მოთხოვნებისა, და მისი პიროვნების მორალური ღირებულებების შესახებ. საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის ფსიქოლოგიის შესწავლის ინტერესი, რაც დამახასიათებელი იყო აღორძინების ეპოქისათვის, მაკიაველის შემოქმედების ძირითად მოტივად იქცა.

სავონაროლას დასჯის შემდეგ მთავრობაში კიდევ განხორციელდა ცვლილებები. ფლორენციის რესპუბლიკის სახელისუფლებო სტრუქტურაში შედიოდა ორი კანცელარია: სინიორიის კანცელარიის სათავეში იდგა პირველი მდივანი ანუ რესპუბლიკის კანცლერი. მეორე კანცელარიის ანუ სამდივნოს სათავეში კი სინიორიის მდივანი. მეორე კანცელარიას გააჩნდა გარკვეული დამოუკიდებლობა პირველისაგან, მაგრამ გაცილებით უფრო დატვირთული იყო. მისი სფერო მოიცავდა სახელმწიფოს საშინაო საქმეებს. არსებობდა კიდევ ერთი სამდივნო თავისუფლებისა და მშვიდობის კომისიასთან, ე.წ. „ათთა საბჭო", რომელიც ათი ადამიანისაგან შედგებოდა. მათ ევალებოდათ სამხედრო საქმიანობის წარმართვა, ჯარის დაქირავება, პროვინციულ ქალაქებსა და ცალკეულ პოლკებში კომისრების დანიშვნა. სხვადასხვა ჩინოვნიკთა დანიშვნები, ქვეყნის ყველა ციხესიმაგრეზე კონტროლი, მათი დაცვა არტილერიით, იარაღით, მომარაგება სურსათით; საბჭო მოლაპარაკებებს აწარმოებდა იტალიის სხვადასხვა ქალაქების მმართველებთან, რომის პაპთან და უცხოეთის ქვეყნებთან, გზავნიდა ელჩებს, აკონტროლებდა მათ საქმიანობას. გარდა ამისა, ათთა საბჭო მონაწილეობას იღებდა ომის გამოცხადებასა და ზავის დადებაში.

სინიორიის ორი მდივანი ასრულებდა სხვადასხვა მოვალეობას. ხშირად მათ საგანგებო დავალებით აგზავნიდნენ ქვეყნის შიგნით ან მის ფარგლებს გარეთ. ზოგჯერ ერთ-ერთ მათგანს ანდობდნენ მეორე კანცელარიის გამგებლობას, ზოგჯერ ათთა საბჭოს განკარგულებაშიც კი ვხვდებით მათ (18, 243).

ფლორენციის რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები ძალიან ხშირად იცვლებოდა: სინიორია ოთხ თვეში ერთხელ, ათთა საბჭო — ექვს თვეში ერთხელ.

1498 წლის 15 ივნისს ოთხი კანდიდატი იქნა წარდგენილი ჯერ 80-ის საბჭოში, ოთხი დღის შემდეგ დიდ საბჭოში. მათ შორის იყო ნიკოლო დი ბერნარდო მაკიაველი, რომელმაც დაამარცხა მედიჩების კანდიდატი და მიიღო ხმების უმრავლესობა. 18 ივნისს იგი დამტკიცებული იქნა მეორე კანცელარიის მდივნად. 14 ივლისს მას დაევალა ათთა საბჭოს მომსახურება და დაენიშნა ხელფასი წელინადში 100 ფლორინის ოდენობით. რესპუბლიკაში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ანაზღაურებად თანამდებობაზე, განსაკუთრებით სამდივნოში, მიეწვიათ ლიტერატურული განათლების მქონე ადამიანები, რასაც სავსებით შეესაბამებოდა მაკიაველი.

მოგვიანებით მაკიაველის მოვალეობები კიდევ უფრო გაფართოვდა. 1506 წლის დეკემბერში მაკიაველის ინიციატივით დიდ საბჭოში მოწონებული იქნა ახალი სამდივნოს ე.ნ. „ცხრის საბჭოს" შექმნის დეკრეტი. ცხრავე წევრის არჩევა ხდებოდა დიდი საბჭოს მიერ. 10 იანვარს შედგა ეს არჩევნები, 12 იანვარს კი მათ მთავრობის წინაშე დადეს ფიცი და მეორე დღესვე შეუდგნენ მოვალეობის შესრულებას. ცხრის საბჭოს მდივნად არჩეულ იქნა მაკიაველი, რომელიც ფაქტობრივად მისი ხელმძღვანელი გახდა. ამ კოლეგიის ძირითადი ფუნქცია იყო სახალხო ლაშქრის ფუნქციონირების საკითხი.

ფლორენციის რესპუბლიკის ოფიციალურ დოკუმენტებში მაკიაველი მოხსენიებულია, როგორც სინიორიის მდივანი, მეორე კანცლერი ან „ათთა" კანცლერი. იგი 1 წლით იქნა არჩეული, მაგრამ მისმა წარმატებულმა საქმიანობამ ხელი შეუწყო იმას, რომ იგი მოგვიანებით ამ თანამდებობაზე არაერთგზის იქნა არჩეული.

მაკიაველი 29 წლისა იყო, როდესაც ამ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე აღმოჩნდა. იგი 14 წლის განმავლობაში, 1512 წლამდე იყო სამდივნოს სათავეში.

1498 წლიდან დაიწყო ნიკოლო მაკიაველის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა, რომელიც სამუდამოდ დაუკავშირდა ფლორენციის რესპუბლიკის ბედს.

1512 წელს, როდესაც ფლორენციის რესპუბლიკა დაიპყრეს ესპანელებმა და ხელისუფლებაში მედიჩები მოვიდნენ, მაკიაველი იმავე თანამდებობაზე იმყოფებოდა.

სინიორიის სამსახურში შესვლამდე, მაკიაველი მხოლოდ დამკვირვებელი იყო ფლორენციის საზოგადოებრივი ცხოვრებისა, 1498-1512 წლებში კი იგი რესპუბლიკის ყველა პოლიტიკური და დიპლომატიური მოვლენის უშუალო მონაწილე გახდა, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ფლორენციის რესპუბლიკის შენარჩუნება და განმტკიცება.

ამ პერიოდის განმავლობაში იგი სახელმწიფო მმართველობის ეპიცენტრში იმყოფებოდა. მისი მრავალმხრივი ხასიათი ნარმოაჩენდა მის მოღვაწეობას, როგორც დიდი ენერგიის მქონეს, მუდმივად ყურადღებიანს, მოქმედებაში ზუსტს, სწრაფსა და ინიციატივიანს.

მაკიაველის უფლებამოსილება იურიდიულად სინიორიის მიერ შეზღუდული იყო, მას ყველა კონკრეტულ შემთხვევაში მათგან უნდა მიეღო სანქცია ან რჩევა. მაგრამ ფაქტობრივად მაკიაველის ხელთ აღმოჩნდა ფლორენციის მართვის ყველა სადავე.

მაკიაველიმ განახორციელა 20-ზე მეტი დიპლომატიური და სამხედრო-დიპლომატიური მისია ფლორენციიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დავალებებით (4, 77). მან საქმიანი ვიზიტებით მოიარა მთელი იტალია, იმყოფებოდა საფრანგეთში, გერმანიაში, შვეიცარიაში, მოლაპარაკებებს აწარმოებდა ევროპის გავლენიან მმართველებთან, საფრანგეთის მეფე ლუი XII და მის ავტორიტეტულ მინისტრთან ლამბუაზთან, რუანის არქიეპისკოპოსთან, გერმანიის იმპერატორ მაქსიმილიანთან (9, 14). ის ყურადღებით აკვირდებოდა დღითიდღე თუ როგორ იბადებოდა რომანიის ჰერცოგის, ჩეზარე ბორჯას ძლიერება, შემდეგ კი მოწმე იყო მისი ღირსებაშელახული პოლიტიკის აღსასრულისა. მაკიაველი 1503 წელს ესწრებოდა კონკლავს, როდესაც პაპად არჩეულ იქნა იულიუს II, მონაწილეობა მიიღო 1511 წელს პიზის საეკლესიო კრების მუშაობაში.

როგორც მდივანი „ცხრის" კომისიისა, იგი იყო ორგანიზატორი და მონაწილე სამხედრო ლონისძიებებისა და ინიციატორი რესპუბლიკის სახალხო ლაშქრის შექმნისა.

შემორჩენილია ასეულობით წერილი, ინფორმაცია, სამთავრობო განკარგულება, სამხედრო ბრძანება, სახელმწიფო კანონების პროექტები, მაკიაველის მიერ დაწერილი, ან მისგან ნაკარნახევი და მის მიერ ხელმოწერილი (2, 366). სამწუხაროდ, წერილების მხოლოდ ნაწილია გამოქვეყნებული. მიუხედავად ამისა, აშკარაა თუ რა მრავალმხრივ მოღვაწეობას ეწეოდა მაკიაველი ამ პერიოდში.

მაკიაველს ანდობდნენ ყველაზე დახლართული მოლაპარაკებების წარმართვას, გზავნიდნენ იმ ქვეყნებში, სადაც გარკვეული დროით გართულებული იყო დიპლომატიური ურთიერთობანი. სინიორია აფასებდა მაკიაველის უნარს შეეკრიბა ინფორმაციები, მოეხდინა დაკვირვებები, გაეკეთებინა დასკვნები, ეწარმოებინა მოლაპარაკებები, მიეღწია ინსტრუქციით დადგენილი პირობების შესრულებისათვის. ყოველივე მომხდარის შესახებ იგი დეტალურად ატყობინებდა სინიორიას და აძლევდა დროული რეაგირების

საშუალებას. ამის შესახებ გვაუწყებს მისი მრავალრიცხოვანი წერილი. მიუხედავად იმისა, რომ მაკიაველის არც საპატიო ტიტულებს აძლევდნენ და არც მაღალ თანამდებობაზე აწინაურებდნენ, სინიორია ყველაზე რთულ და საპასუხისმგებლო მისიების დროს მხოლოდ მის გონებასა და უნარს ეყრდნობოდა. თუმცა ამავე დროს სინიორია მკაცრად ზღუდავდა მის საქმიანობას წინასწარ შედგენილი ინსტრუქციის საფუძველზე. მას არასდროს ნიშნავდნენ ე.ნ.„ორატორად", ამ საპატიო და საპასუხისმგებლო პოსტზე ყოველთვის იყვნენ პრეტენდენტები — უფრო სოლიდური და გავლენიანი ჩინოვნიკები. მაკიაველის უფრო ხშირად გზავნიდნენ მეორე ელჩად ანდა საელჩოს რიგით წევრად, თუმცაღა ფაქტიურად მას, ერთადერთს, უხდებოდა მოლაპარაკებებისა და სინიორიასთან მინერ-მონერის წარმართვა.

ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც ელჩობას მხოლოდ მაკიაველი წარმოადგენდა, მოქმედი ინსტრუქციის თანახმად, სინიორია მას ავალებდა შეეთანხმებინა თავისი ქმედებანი იმ ნდობით აღჭურვილ პირებთან, რომლებიც იმყოფებოდნენ შესაბამისი ქვეყნების ხელისუფლებაში. აქედან გამომდინარე, მაკიაველის თავისი დიპლომატიური მისიების შესრულების დროს არ ჰქონდა ხელშეკრულების დადების უფლება. მისი როლი ასეთ შემთხვევაში განისაზღვრებოდა მხოლოდ იმით, რომ ჩამოეყალიბებინა განსაზღვრული აზრი უცხოეთის მთავრობებზე ან საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩების მიღების მომზადებაზე, ანდა მომხდარის შესახებ ინფორმაციის შეგროვებაზე. ამის გამო თავისი ვიზიტების დროს მაკიაველი ყოველთვის მიმართავდა თხოვნით სინიორიას დაეჩქარებინათ იმ პირთა გამგზავრება, რომელთაც უფრო ფართო უფლებამოსილება გააჩნდათ. აქედან გამომდინარე, იგი უფრო შეზღუდული იყო თავის დიპლომატიურ საქმიანობაში, ვიდრე ფლორენციის რესპუბლიკის სხვა ელჩები.

ფლორენციის ხელისუფლება, რომელიც მაქსიმალურად იყენებდა მაკიაველის შესაძლებლობებს, მის ჭკუას, ენერგიას და ცოდნას, თვითონ მას ძალზე ძუნწად ექცეოდა. თავის წერილებში მაკიაველი არაერთგზის გამოთქვამდა საყვედურს ფინანსურ გაჭირვებაზე, ითხოვდა ფულის გაგზავნის დაჩქარებას, წინასწარ ხელფასის გადახდას, რადგანაც მას ყოველთვის ჰქონდა ფინანსური პრობლემები იმის გამო, რომ სინიორია გულუხვობით მაინცდამაინც არ გამოირჩეოდა (2, 153-201). მაკიაველის ფული არც არსებობისათვის ყოფნიდა და არც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისათვის. ამის გამო მაკიაველი ხშირად უჩიოდა სინიორიას, მაგრამ მიუხედავად

ყველაფრისა, საქმიანობას მაინც არ წყვეტდა, რომელიც ყოველივე ამის გათვალისწინებით, ძალზე რთულ პირობებში მიმდინარეობდა.

დიპლომატიური საქმიანობის მოთხოვნები ხელს უწყობდა გარეშემყოფთა მიმართ კრიტიკული განწყობის გამომუშავებას. ჭკვიანი პოლიტიკოსი და გამოცდილი დიპლომატი მაკიაველი თავის აქტიურ სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას კალმით ხელში წარმართავდა. ელჩობის დამთავრებისთანავე ხშირად იწერდა თავის შთაბეჭდილებებს, სადაც იგი მიზნად ისახავდა პრაქტიკული მოღვაწეობის მაგალითზე ლოგიკურად დაესაბუთებინა თავისი თეორიული დასკვნები. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ იმ ეპოქის მოვლენები განსაკუთრებულ გამოძახილს პოულობდა მასთან. იგი ყოველთვის ახდენდა რეაგირებას მიმდინარე მოვლენებზე ტრაქტატების, განხილვების, აღწერილობებისა და მმართველობის სახით. მაკიაველის თითოეული ნაწარმოები პასუხობს იმ დროის ყველა კითხვას, მათ შორის ყველაზე ღირებული კი წინ უსწრებს ხსენებულ ეპოქას.

14 წელი ემსახურა მაკიაველი რესპუბლიკას მეორე კანცლერის პოსტზე. ამ ხნის განმავლობაში მან დაწერა ოთხი ათასზე მეტი წერილი და მოხსენებითი ბარათი, უამრავი კანონპროექტი, ადმინისტრაციული განკარგულება, სამხედრო ბრძანება; კიდით-კიდემდე შემოიარა მთელი იტალია, ოცდასამჯერ იყო საზღვარგარეთ: რესპუბლიკა საგანგებო დიპლომატიური მისიით გზავნიდა მას იტალიელი მთავრების, რომის პაპის, საფრანგეთის მეფის, გერმანიის იმპერატორის კარზე „ფლორენციის კანცლერისა და მოქალაქის" წინაშე გადაშლილი იყო ქაოტურად ჭრელი სამყარო, — მისი ანალიტიკური გონების, გამჭრიახი მზერისა და მკაცრი ლოგიკისათვის ერთადერთი საინტერესო ობიექტი.

მაკიაველი შეუნელებელი ყურადღებით აკვირდებოდა, სწავლობდა, იკვლევდა სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაციის სხვადასხვა ფორმებს, მათ არსებით ნიშან-თვისებებს, სახელმწიფოების ეკონომიკურ საფუძვლებს, კანონმდებლობას, ხელისუფლების ორგანოებს, სასახლეების კარის ინტრიგებს, დიპლომატიურ ხრიკებს, მხედართმთავრების სტრატეგიასა და ტაქტიკას, არმიების ბრძოლისუნარიანობას, სამხედრო ტექნიკას, ხალხისა და სახელმწიფო მოღვაწეთა ქცევას ომისა და მშვიდობის დროს, ისტორიული კატაკლიზმების ბუნებას. ერთი სიტყვით, თითქმის ყველაფერს, რასაც ესოდენ უხვად სთავაზობდა მაშინდელი ევროპის სოციალურ-პოლიტიკური ვითარება (1, 16).

პრაქტიკული პოლიტიკის პრობლემების კვლევისას მაკიაველის ყურადღების ცენტრში ყოველთვის იდგა მისი მშობლიური ქალაქი — ფლორენცია, რომლის ინტერესების დაცვასა და განმტკიცებას ემსახურებოდა მაკიაველის მიერ დაწერილი მრავალრიცხოვანი, შინაარსისა და მოცულობის სხვადასხვა სახის თხზულება, რომლებიც ერთიანი იდეური მიმართულებით გამოირჩეოდნენ. მათ შორის იყო: „ნარკვევი პიზის საქმიანობის შესახებ" (1499), „ფლორენციის რესპუბლიკის მიერ მიღებული ღონისძიებები პისტოიის პარტიის შერიგების შესახებ" (1502), „ვალ-დი-კიანის ამბოხებული მოსახლეობისადმი მიმართვის მეთოდების შესახებ" (1502), „იმ საქმეების აღწერა, თუ როგორ იხსნა ვალენტინოს ჰერცოგმა თავი ვიტელოცო ვიტელის, ოლივერტო დე ფერმოს, სენიორ პაოლოსა და ჰერცოგ გრავინა ორსინისაგან" (1502-1503 წწ.), „ლეგაცია რომის კარზე" (1503 წ.), პოემა „ათწლეული" (1504 წ.), „მსჯელობა ფლორენციის რესპუბლიკის სამხედრო ძალების ორგანიზაციის შესახებ" (1506 წ.), „საფრანგეთის მოვლენათა აღწერა" (1510 წ.), „გერმანიაში მომხდარ მოვლენათა აღწერა" (1512 წ.), პოემა „მეორე ათწლეული" (1509 წ.).

გერმანიასა და საფრანგეთზე დაწერილ შრომებში, მაკიაველიმ გადმოგვცა ორივე სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება, მათი კულტურა, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი სტრუქტურა, ხალხის ზნე-ჩვეულებების ზუსტი და ობიექტური ანალიზი. „მაკიაველი — წერს ი.ბურკჰარდტი, — რამდენიმე მნიშვნელოვან ნაწარმოებში გვთავაზობს გერმანიისა და საფრანგეთის პოლიტიკური მდგომარეობისა და ხელოვნების ისეთ ზუსტ ასახვას, რომ ამ ქვეყნების მკვიდრი, რაგინდ კარგადაც უნდა იცნობდეს თავისი სამშობლოს ისტორიას, ბრძენი ფლორენციელის მადლობელი უნდა იყოს მისი ნათელი აზრებისათვის" (1, 19).

მაკიაველისათვის პოლიტიკა იყო თვითდამკვიდრების საშუალება. ეს კარგად იგრძნობა მისი პოლიტიკური ტრაქტატების კითხვისას, რომლებიც გვანცვიფრებენ მკაცრი ლოგიკით, მოვლენების ამომწურავი ანალიზით, ობიექტურობით, გულწრფელობითა და მიუკერძოებლობით.

მაკიაველის ნაწარმოებების უმრავლესობა გამოირჩეოდა ნახევრადპოლიტიკური და ნახევრადისტორიული ხასიათით. მათგან წმინდა პოეტური ხასიათის ნაწარმოებებშიც კი აშკარად იგრძნობა მისთვის დამახასიათებელი პოლიტიკური აზროვნება და ირონიზირება, მაგალითად, პოემა „ათწლეული", რომელშიც აღწერილია 1494-1504 წლებში მიმდინარე მოვლენები და პოემა „მეორე ათწლე-

ული", რომელშიც განზრახული ჰქონდა მომდევნო პერიოდის მოვლენების გაგრძელება. ამგვარად, 1494-1512 წლებში მაკიაველი უმეტეს წილად წერდა ისეთი ხასიათის ნაწარმოებებს, რომელსაც თვით ცხოვრება კარნახობდა და წარმოადგენდა მისი პოლიტიკური აზროვნების თეორიულ ფორმირებას. მაკიაველი ისე იყო ჩართული შემოქმედებით საქმიანობაში, რომ პრაქტიკულად მას არ რჩებოდა თავისუფალი დრო. და თუ მაინცდამაინც რაღაცნაირად გამონახავდა დროს, იგი ძირითადად უთმობდა მას ანტიკურ ავტორთა ნაწარმოებების კითხვას ან მეგობრებთან გულითად საუბრებს. უნდა აღინიშნოს, რომ იგი გამოირჩეოდა კომუნიკაბელური ხასიათით, იყო მხიარული და გონებამახვილი მოსაუბრე, უყვარდა იუმორი და მხიარულება. იყო საღამოს წვეულებების ტრფიალი, რომელთაც ანყობდა ათთა საბჭო. მას ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა ორივე კანცელარიის თანამშრომლებთან, რომელთა შორისაც სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით. აღსანიშნავია, რომ ისინი გარკვეული სახით ბაძავდნენ კიდეც მისი მუშაობის სტილს. ამასთანავე მაკიაველი გამოირჩეოდა წესრიგითა და აკურატულობით მუშაობაში. სამსახურებრივი მოგზაურობების დროს იგი მეგობრებს თავშესაქცევი ხასიათის ბარათებს უგზავნიდა, რომლებშიც დეტალურად გადმოსცემდა თავის შთაბეჭდილებებს. ამ წერილების გაცნობისას მეგობრები გულიანად იცინოდნენ. თავის მხრივ, ისინი მას ატყობინებდნენ კანცელარიის ამბებს, სხვადასხვა ჭორებსა და კონფლიქტურ თავგადასავლებს, საქეიფო და სასიყვარულო ინტრიგებს. მაკიაველის უყვარდა კარგად ჩაცმა, განსაკუთრებით, იმ შემთხვევაში, როცა ოფიციალურად წარმოადგენდა თავის ქვეყანას უცხოეთში.

33 წლის ასაკში მაკიაველი დაქორწინდა მარიეტა დი ლოდოვიკო კორსინიზე, ერთი წლის შემდეგ კი პირველი ბავშვის მამა გახდა. მას 5 შვილი ჰყავდა: 4 ვაჟი (ბერნარდო, ლოდოვიკო, პიერო და გვიდო) და ერთი გოგონა (ბართოლომეა). ოჯახს მაკიაველი ხუმრობით „თავის გუნდს" ეძახდა (18, 245). მეგობრებისადმი გაგზავნილ წერილებში სთხოვდა დახმარებოდნენ მის ოჯახს, პირველ რიგში კი ფინანსურად.

თავისი სამსახურის პირველივე დღეებიდან მაკიაველი სინიორიის პირველი კანცელარიის პირველ მდივანს მარჩელო ვირჯილიო ადრიანოს დაუახლოვდა, რომელიც მასზე 5 წლით იყო უფროსი. ორივე მათგანი 1498 წელს სინიორიის მდივანი გახდა. მარჩელო იყო ლიტერატურის პროფესორი, შესანიშნავად ფლობდა ბერძნულ და ლათინურ ენებს, კარგად ერკვეოდა მედიცინასა და საბუნებისმეტყველო

მეცნიერებებში, ფლობდა ორატორულ ხელოვნებას და შეეძლო ექსპრომტად წარმოეთქვა ფილოსოფიური, ლიტერატურული და პოლიტიკური ხასიათის სიტყვები. ამავე დროს მარჩელო წარმატებით უთავსებდა სახელმწიფო მდივნობას უნივერსიტეტში პედაგოგობას.

მარჩელო ვირჯილიო იყო მაკიაველის სწავლული მეგობარი. ორივე მათგანს ჰქონდა საერთო ინტერესები და თანაბრად იყვნენ გატაცებული ანტიკური ავტორებით. 1506 წელს მაკიაველიმ მისი ნახალისებით დაწერა „ნიღბები", რომელიც გარკვეულწილად წარმოადგენს არისტოფანის „ღრუბლების" მიბაძვას.

ნიკოლოს და მარჩელოს მეგობრული ურთიერთობა სიკვდილამდე — 1591 წლამდე გაგრძელდა.

მაკიაველის მეგობარი იყო აგრეთვე მეორე კანცელარიიდან მისი უმცროსი კოლეგა ბიანჯო ბონუნაკორსი. იგი მაკიაველისათვის ძალზე სანდო და კარგი ადამიანი იყო. ნიკოლოსადმი მინერილი წერილები გულისხმიერი და დეტალური იყო, რომლებშიც ბიანჯო აღფრთოვანებას გამოხატავდა მაკიაველისადმი. როდესაც ნიკოლო საზღვარგარეთ იმყოფებოდა, იგი პირველ რიგში ბიანჯოს მიმართავდა თხოვნით გაეგზავნა მისთვის წიგნები, ფული და გაეწია სხვადასხვა სახის დახმარება მისი ცოლ-შვილისათვის. ასე, მაგალითად, 1502 წელს დიპლომატიური მისიით იმოლაში ყოფნის დროს ჩეზარე ბორჯას კარზე, მაკიაველიმ თხოვნით მიმართა ბიანჯოს ეშოვა და გაეგზავნა მისთვის პლუტარქეს „რჩეული ბიოგრაფიები". მაკიაველის ყველა თხოვნას ბიანჯო გულითადათ ასრულებდა და მუდმივად არწმუნებდა მას თავის ერთგულებაში. იგი მის ერთგულ მეგობრად დარჩა გაძევების პერიოდშიც.

მაკიაველის მეგობარი იყო მისი უმცროსი კოლეგა ბართოლომეო რუფინიც, რომელიც ნიკოლოს საქმიანობის თვითმხილველი იყო.

1502 წლის ივნისიდან მაკიაველი დაუმეგობრდა ვოლტერიეს ეპიკოპოსს ფრანჩესკო სოდერინის, როდესაც მათ ერთად მოუწიათ დიპლომატიური მისიის შესრულება ურბინოში ჩეზარე ბორჯასთან. ამ დროს იგი ეპისკოპოსის თანაშემწის როლს ასრულებდა. ფრანჩესკო სოდერინი მეტად მაღალ შეფასებას აძლევდა მაკიაველის. ასევე მეგობრობდა ფრანჩესკოს ძმასთან — პიეროსთან, რომელიც 1502 წლის სექტემბერში რესპუბლიკის პირველი, მუდმივი გონფალონიერი გახდა. სოდერინის ოჯახის დიდი ხნის მეგობარი ნიკოლო მაკიაველი, ათთა საბჭოს სახელით ესტუმრა პიეროს და დაწინაურება მიულოცა. რბილი ხასიათის, ჰუმანური პიერო სოდერინი კარგი ორატორი იყო, თუმცა არ გამოირჩეოდა დიდი ტალანტითა და ენერგიით. იგი დიდად

აფასებდა მაკიაველის ნათელ გონებას, დაკვირვების უნარს, დაუღლელობას და მუდმივად სარგებლობდა მისი სამსახურითა და რჩევებით. მაკიაველი დიდი გულისხმიერებით ეხმაურებოდა სოდერინის და ყოველნაირად ცდილობდა მისი მმართველობის განმტკიცებას. ის კარგად იცნობდა და იზიარებდა მის ადმინისტრაციულ გეგმებს. 1503 წელს მაკიაველიმ სოდერინისათვის დაწერა სიტყვა „ფულადი შემოსავლების შესახებ", რომელშიც მხარს უჭერდა ახალი გადასახადების შემოღებას და იმ აზრის განმტკიცების ფორმულირებას ახდენდა რომ ყველა სახელმწიფოსათვის აუცილებელი იყო ძალების გონივრული გაერთიანება. იმისათვის რომ ფლორენციელები დაერწმუნებინა, რათა რესპუბლიკის მმართველთათვის მხარი დაეჭირათ, ის აქებდა მათ, ვინაიდან მათ შეძლეს სახელმწიფო აპარატში ერთსულოვნება დაემყარებინათ. თავის პოემაში „მეორე ათწლეული", რომელიც 1504 წელს დაწერა, ფლორენციელებს მოუწოდებდა რწმენა არ დაეკარგათ საკუთარი ხელისუფლებისადმი, რომელსაც შეეძლო განეჭვრიტა და აეცილებინა მოსალოდნელი საფრთხე.

1512 წელს მედიჩების მომხრეებმა ხელთ იგდეს ფლორენციის სინიორიის სასახლე — პალაცო ვეკიო. მაკიაველი და პიერო სოდერინი გაძევებულ იქნენ ქალაქიდან. ემიგრაციაში ყოფნისას მათ ურთიერთობა არ შეუწყვეტიათ. ერთმანეთს ხშირად უგზავნიდნენ ბარათებს.

მაკიაველი მეგობრობდა აგრეთვე ფრანჩესკო ვეტორისთან, რომელიც ფლორენციის რესპუბლიკის სინიორიის პირველი კანცელარიის მდივანი იყო. 1512 წლის გადატრიალების შემდეგ მან თანამდებობა შეინარჩუნა, ვინაიდან მედიჩები პირველ ხანებში ცდილობდნენ ფლორენციისათვის შეენარჩუნებინათ რესპუბლიკის გარეგნული ფორმა. პოლიტიკური შეხედულებების ერთიანობამ, სახელმწიფო აპარატში ერთობლივმა საქმიანობამ, ორივესათვის მისაღებმა სახელმწიფო ინტერესებმა და მუდმივმა ურთიერთობებმა სამსახურის საქმეებთან დაკავშირებით, იმდენად დააახლოვა ვეტორი მაკიაველისთან, რომ ამ უკანასკნელის გაძევების შემდეგაც არ შეუწყვეტიათ ურთიერთობა და მიმოწერა; მაგალითისთვის ცნობილია, რომ 1513 წლის დეკემბერში, როდესაც ფრანჩესკო ვეტორი რომში საპასუხისმგებლო მისიას ასრულებდა, მაკიაველი წერილებში გამოცდილებასა და ცოდნას უზიარებდა პაპის პოლიტიკის შეფასებაში. ამასთან ერთად მაკიაველი მას თავის ტრაგიკულ ბედზე შესჩიოდა (9, 28).

მაკიაველი იმდენად აფასებდა ვეტორის, რომ 1513 წელს, როდესაც თავისი ცნობილი ნაშრომი „მთავარი" დაასრულა, მას გაუგზავნა სათანადო შეფასებისათვის.

1512 წლის დრამატული მოვლენების შემდეგ, რომლებმაც ფლორენციის რესპუბლიკის დალუპვა გამოიწვიეს, მაკიაველიმ აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობა შეწყვიტა. 1512 წლის 16 სექტემბერს ფლორენციიდან გაძევებული მედიჩები ესპანურ-გერმანული ძალების მეშვეობით ქალაქში დაბრუნდნენ (ისინი 1494 წელს იქნენ განდევნილი).

ხელისუფლების სათავეში აღმოჩნდა უნიჭო ლორენცო მედიჩი, ლორენცო ბრნყინვალის შვილიშვილი, პიეროს ვაჟი (ეს უკანასკნელი ფლორენციიდან გაიქცა 1494 წელს და 1502 წელს დაიხრჩო). ფაქტობრივად ქალაქის მმართველი გახდა ლორენცოს ბიძა — კარდინალი ჯოვანი მედიჩი, შემდგომში პაპი ლეო X სახელით. მან კიდევ უფრო გააძლიერა რეაქცია ფლორენციაში. საერთოდ კი, უნდა აღინიშნოს, რომ მედიჩების ოჯახის წევრები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ხელისუფლების სათავეში, მაგრამ ამავე დროს წამყვან როლს არ კარგავდნენ.

პოლიტიკური შემწყნარებლობა, რომელიც ასე დამახასიათებელი იყო მედიჩების ტირანიის დასაწყისისათვის, მაკიაველიზე არ გავრცელებულა. კარდინალმა ჯოვანიმ და ფლორენციის ტირანმა ლორენცო მედიჩებმა არ ისურვეს მაკიაველისთვის ეპატიებინათ რესპუბლიკური იდეებისადმი მხარდაჭერა და საქმიანობა. 1512 წლის 7 ნოემბერს მას ყველა თანამდებობა დაატოვებინეს, უფლებები აპყარეს და ერთწლიანი გაძევება მიუსაჯეს ქალაქიდან. მედიჩების ბრძანების თანახმად ერთ-ერთი პირველი გაუქმებულ იქნა ცხრათა საბჭო, რომელიც სახალხო ლაშქარს განაგებდა და წინააღმდეგობას უწევდა ახალი ტირანის პოლიტიკას.

ამგვარად, პოლიტიკიდან გარიყულ იქნა კაცი, რომელიც პოლიტიკით სულდგმულობდა და ცხოვრობდა.

1514 წლიდან დაიწყო მესამე, მაკიაველის ცხოვრების ყველაზე რთული პერიოდი. გაძევებისა, უმოქმედობისა, ყველა თანამდებობიდან გადაყენებისა. მას შეეძლო მხოლოდ წერილები მიეწერა ფლორენციაში მეგობრებისათვის და მოკლე ხნით ჩასულიყო ქალაქში. მეგობრებისადმი მიწერილ მრავალრიცხოვან წერილებს მაკიაველი ირონიულად მიაწერდა: — „ოდესღაც მდივანი“.

მაკიაველი, ენერგიით სავსე და დიდი გამოცდილების მქონე პოლიტიკოსი და დიპლომატი, მთლიანად გადავიდა თავისი დაკვირვებების განზოგადებასა და გაანალიზებაზე, იტალიის ხსნის გზების ძიებაზე, რათა აეცილებინა ქვეყნის სრული დაპყრობის მოსალოდნელი საფრთხე. ამისათვის ის ანტიკურ ავტორებში ეძებდა პასუხს. აღსა-

ნიშნავია ისიც, რომ მთელი თავისი შემდგომი ცხოვრების მანძილზე მაკიაველი რჩებოდა მგზნებარე რესპუბლიკელად და თავისი პოლიტიკური მრწამსი არ შეუცვლია. ეს პერიოდი, რომელიც ყველაზე ტრაგიკული იყო მის ცხოვრებაში, ყველაზე ნაყოფიერი აღმოჩნდა მისი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის, რამაც მას სახელი და დიდება მოუტანა და რითაც იგი ცნობილია, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მოაზროვნე.

1513 წლის დასაწყისში გაიხსნა მედიჩების საწინააღმდეგო შეთქმულება, რომლის სათავეშიც იმყოფებოდნენ ბასკოლი და ლუკა კაპონი. მათთან თანამონაწილეობის ეჭვის საბაბით დაპატიმრებულ იქნა მაკიაველი. ციხეში მიმართავდნენ მის წამებას. იგი ექვსჯერ იქნა გამათრახებული. მაგრამ მას დანაშაული ვერ დაუმტკიცეს. 1513 წლის მარტში, როდესაც ლეო X პაპის ტახტზე ავიდა, გამოსცა ამნისტია. იგი შეეხო მაკიაველისაც, რომელიც საპყრობილიდან იქნა განთავისუფლებული და ნება დართეს ეცხოვრა ფლორენციიდან სამხრეთით 15 კმ-ზე მდებარე სანტ-ანდრეას პერკუსინოს წინაპრების მამულში, სანტ-კაშანოს მახლობლად. სწორედ ამ პერიოდში შექმნა მან თავისი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებები.

მაკიაველისათვის ეს იყო მძიმე სულიერი ტრამვა, მისი მიზნების საბოლოო კრახი. ოჯახთან ერთად თავის მამულში — დამკვიდრებულს სულს უხუთავდა სოფლური ცხოვრება: „დიდხანს არ შეიძლება ასე გაგრძელდეს, — წერდა იგი 1514 წლის 10 ივლისს, — ეს უსაქმობა ბოლოს უღებს ჩემს არსებობას, და თუ ღმერთი წყალობის თვალით არ გადმომხედავს, ერთ მშვენიერ დღეს მივატოვებ ჩემს სახლკარს და აღმზრდელად ან მწერლად დავდგები რომელიმე დიდებულის ოჯახში“ (1, 29). ამაოდ ევედრებოდა იგი მეგობრებს ეშუამდგომლათ მედიჩების წინაშე და თუნდაც სულ უმნიშვნელო თანამდებობა გამოეთხოვათ მისთვის: „ბედნიერი ვიქნებოდი, თუკი მედიჩები ისარგებლებდნენ ჩემი სამსახურით და რაიმე დავალებას მომანდობდნენ ფლორენციაში ან ქალაქგარეთ“ (1, 29). ამაოდ მიუძღვნა თავისი სახელგანთქმული „მთავარი“ ლორენცო მედიჩის, პიეროს ძეს და ქედმოდრეკილი შეწყნარებას სთხოვდა მას: „...მიიღეთ, თქვენო უდიდებულესობავ, ეს მოკრძალებული ძღვენი იმავე გრძნობით, რომლითაც მე მას გწირავთ: თუკი ინებებთ და გულდასმით განიხილავთ, შიგ ჰპოვებთ ჩემს მხურვალე სურვილს, — მიაღწიოთ იმ სიდიადეს, რასაც სვებედნიერება და ბევრი თქვენი სხვა სიკეთე გიქადით. და თუ თქვენი უდიდებულესობა თავისი სიმაღლის მწვერვალიდან ერთხელ მაინც გადმოაველებს თვალს ამ დაბლობებს, დარწმუნდება, რაოდენ

დაუმსახურებლად ვითმენ ბედისწერის სისასტიკეესა და დაუსრულებელ უკულმართობას“ (1, 29).

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „მთავარი“, რომელიც მაკიაველიმ 1513 წლის ბოლოს თითქმის ერთი ამოსუნთქვით დაწერა, უნდოდა მიეძღვნა ჯულიანო მედიჩისათვის — ფლორენციის ახალი მმართველისათვის, მაგრამ 1516 წელს ჯულიანო გარდაიცვალა და მიძღვნის ადრესატად იქცა ლორენცო მედიჩი უმცროსი.

მაგრამ არც ლორენცოსა და არც მის თანამოსაყდრეს ჯულიანოს (1523 წლიდან — პაპი კლიმენტი VII), არც მათ გერებსა და მემკვიდრეებს — ალესანდროსა და იპოლიტოს არ შეეძლოთ დიდი პოლიტიკოსის „რესპუბლიკური წარსულის“ დავიწყება.

ძნელი იყო იმ აზრთან შეგუება, რომ აღარავის სჭირდებოდა, მაგრამ თანდათანობით მიეჩვია განდევნილის ცხოვრებას. კაცი, რომელიც პირადად ესაუბრებოდა მეფეებსა და იმპერატორებს, კარდინალებსა და პაპებს, ახლა სოფლის მედუქნესა და ყასაბთან ბანქოს თამაშით იქცევდა თავს: „...დილაადრიან ვდგები და მივდივარ ტყეში, რათა დავხედო შეშისმჭრელებს, რომლებიც ჩემს ტყეს ჭრიან; იქიდან ნაკადულისკენ მივეშურები, შემდეგ კი ჩიტების მახისკენ. ჯიბეში წიგნი მიდევს: ეს ან დანტეა და პეტრარკა, ან ტიბულუსი და ოვიდიუსი. მე ვკითხულობ მათ სასიყვარულო ინტრიგებსა და თავგადასავლებს, ვიგონებ ჩემსას და ერთხანს ამ ფიქრებით ვტკბები. შემდეგ შევდივარ გზისპირას მდგარ დუქანში, ვესაუბრები გამვლელ-გამომვლელს, ვგებულობ ქვეყნის ამბებს, ყურს ვუგდებ ხალხის ყბედობას. ამასობაში სადილობაც მოატანს და ჩემს ოჯახთან ერთად ღარიბულ სუფრას ვუჯდები... სადილის შემდეგ კვლავ მივდივარ დუქანში, სადაც ჩვეულებისამებრ უკვე სხედან მედუქნე, ყასაბი, მეწისქვილე და ორი მეფუნთუშე. მათთან ერთად ბანქოს თამაშში ვატარებ დანარჩენ დროს; თამაშისას ხშირად მოგვდის ჩხუბი, ვაგინებთ და ვლანძღავთ ერთმანეთს, გამწარებით ვიბრძვით თითოეული კუატრინოსათვის და ისე ვღრიალებთ, რომ ჩვენი ხმა თვით სან კაშანომდე აღწევს... შებინდებისას შინ ვბრუნდები და ჩემი სამუშაო ოთახისაკენ მივდივარ, ზღურბლზე ვიხდი გატალახიანებულსა და მტვერში ამოგანგლულ ჩემს გლეხურ სამოსს და სამეფო და საზეიმო ტანსაცმლით ვიმოსები. ასე მორთულ-მოკაზმული შევდივარ ანტიკური დროის ბრძენკაცთა საკრებულოში. ისინი ალერსით მიღებენ, და, აი, მე ვტკბები საზრდოთი, რომელიც მხოლოდ ჩემთვისაა გამზადებული. აქ მე სირცხვილის გარეშე ვესაუბრები მათ, ვეკითხები მათი ქცევის მიზეზებს და ისინიც მოწყალედ მაძლევენ პასუხს. ოთხი საათის განმავლობაში მე არ

ვიცი რა არის დაღლილობა და მოწყენილობა. მე მავიწყდება ყოველ-გვარი გასაჭირი, აღარ მაშინებს სიღარიბე, არ ვუფრთხი სიკვდილს და მთელი არსებით ვინთქმები ამ გარდასულ სამყაროში" (1, 32).

ტოსკანური ღამის სიმშვიდეში თავის სამუშაო მაგიდაზე თავდახრილი ადამიანის ყოფნა-არყოფნაზე, სახელმწიფოების ბედ-იღბალზე ესაუბრებოდა ანტიკურ ავტორებს. პლატონისა და არისტოტელეს პოლიტიკური დოქტრინები, ტაციტუსისა და ტიტუს ლივიუსის ანალები და ქრონიკები, პოლიბიოსის „ისტორიულ ციკლთა" თეორია, ციცერონისეული კონცეფცია და ა.შ. და ა.შ. — ზღვა მასალა ფიქრის, განსჯის, მსჯელობის, გარდასულ საუკუნეებთან შინაგანი დიალოგისათვის.

საფუძვლიანი ისტორიული ერუდიცია და თანადროული ვითარების ღრმა და ამომწურავი ცოდნა, — აი, მაკიაველის მოძღვრების ორი ქვაკუთხედი. მაგრამ ისტორია მისთვის მხოლოდ საშუალებაა, რომელიც ერთადერთ მიზანს — თანამედროვეობის უფრო სრულყოფილ ნვდომასა და გააზრებას ემსახურება.

1513 წელს მან წერა დაიწყო თავის ერთ-ერთი შედეგრისა „მსჯელობა ტიტუს ლივიუსის პირველი დეკადის შესახებ". ამ ნაშრომზე მუშაობა მან „მთავარზე" ადრე დაიწყო, მაგრამ შემდეგ მასზე მუშაობა შეწყვიტა და მხოლოდ 1519 წელს დაასრულა იგი.

მაკიაველი „მსჯელობათა" ცალკეულ თავებს ტიტუს ლივიუსის ქრონიკის ამა თუ იმ ეპიზოდის გადმოცემით ინყებს, მაგრამ ავტორს ძველი რომის ცხოვრება იმდენად აინტერესებს, რამდენადაც ყოველივე ეს საშუალებას მისცემს უფრო ზუსტად უპასუხოს მისი თანამედროვე იტალიური სინამდვილის ყველაზე საჭირბოროტო საკითხებს: რას ემყარება სახელმწიფოს ძლიერება, რა განაპირობებს მის დაცემას და შეიძლება თუ არა კატასტროფების თავიდან აცილება. ამრიგად, ისტორია, მაკიაველის აზრით, სხვა არა არის რა, თუ არა ამქვეყნად ერთხელ და სამუდამოდ მოცემულ ძალთა გადაადგილება-გადანაცვლება.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ერთ-ერთი პირველი ნაწარმოები, რომელიც მაკიაველიმ 1513 წელს გაძევების პერიოდში დაწერა, იყო „მთავარი". იგი შეიქმნა თითქმის ერთი ამოსუნთქვით „მთავარი" აღმოჩნდა გვიანდელი აღორძინების ეპოქის ყველაზე შთამბეჭდავი ნაწარმოები, რომელმაც საყოველთაო ყურადღება მიიპყრო და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია თანამედროვეთა შორის, მოგვიანებით კი სახელმწიფოს მართვასა და მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ შეიქმნა მდიდარი კრიტიკული ლიტერატურა. მაკიაველს

გამოუჩნდა მთელი რიგი როგორც თაყვანისმცემლებისა და მომხრეებისა, ისე მოწინააღმდეგებისა და მტრებისა.

„მთავარი“ წარმოადგენს თითქოსდა შედეგს მაკიაველის მთელი მოღვაწეობისა. მასში მან უმაღლეს ოსტატობას მიაღწია. საკუთარი დასკვნების გამომსახველობით ეს თხზულება წარმოადგენს დაღვინებული პოლიტიკოსისა და გამოცდილი სახელმწიფო მოღვაწის ფიქრისა და განსჯის ნაყოფს, რომელმაც საკუთარი პოლიტიკური თეორიებით ბევრად გაუსწრო თავის ეპოქას.

„მთავარს“ ყოველთვის თან ახლდა უმაგალითო და სკანდალური დიდება რომელსაც უშუალოდ უკავშირდება თვითონ „მაკიაველიზმის გაგება, რომელმაც თავისთავად მომავალი თაობებისათვის შექმნა პოლიტიკოსის, სახელმწიფოს მმართველის ორი, განსხვავებული სახე. ერთი მხრივ, ვერაგი, უპრინციპო, მკაცრი და მეორე მხრივ, ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული პოლიტიკოსისა.

მაკიაველის „მთავარს“ ალორძინების ეპოქის სხვა ნაწარმოებიდან ისიც განასხვავებს, რომ მას დღემდე დიდი ინტერესით კითხულობენ ისინიც კი, რომელთაც საერთოდ არ აინტერესებთ პოლიტიკა. „მთავარში“ ნათლად იგრძნობა რენესანსის ეპოქის პოლიტიკური მორალი.

მაკიაველი მიიჩნევდა, რომ იტალიის უბედურება გამონვეული იყო ძირითადად პოლიტიკური დაქუცმაცებულობით. აქედან გამომდინარე, მან შექმნა თეორია სახელმწიფოს შესახებ, რომლის თანახმადაც, შესაძლებელი იქნებოდა ამ დანანევრების გადალახვა. იგი ცდილობდა გაერკვია ნაციონალური კატასტროფის მიზეზები, რომელიც თავს დაატყდა როგორც მის მშობლიურ ქალაქს, ასევე მთლიანად იტალიას. მისი თანამედროვე ისტორიკოსებისაგან განსხვავებით, სახელმწიფოს პრობლემას განიხილავდა საერო და არა თეოლოგიური პოზიციიდან და ცდილობდა აეხსნა საზოგადოებრივი განვითარების კანონები, რომლებიც ეყრდნობოდა ისტორიის მოვლენებს, ადამიანის ფსიქიკას — რეალური ფაქტებისა და ვითარების გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, იგი მივიდა დასკვნამდე, რომ დამოუკიდებელი იტალიური სახელმწიფოს შექმნა შეეძლო მხოლოდ ძლიერ ხელისუფალს. მაკიაველის კონცეფციის თანახმად, ძლიერი პიროვნება მზადაა იმისათვის, რომ წინ აღუდგეს შემთხვევით გარემოებათა დამთხვევას, დაუპირისპიროს მას თავისი ენერგია, შორსმჭვრეტელობა, შეძლოს პოლიტიკის შეცვლა სიტუაციის შესაბამისად.

იდეალური მმართველის მაგალითად მაკიაველის მიაჩნდა რომანიის ჰერცოგი ჩეზარე ბორჯა, რომელმაც კანონიერების იგნორირე-

ბით შეძლო აქცენტი ზნეობრიობაზე გაეკეთებინა და ისე განემტკიცებინა თავისი ხელისუფლება. აქედან გამომდინარე, ყველაფერი, რაც ემსახურება პოლიტიკას, უნდა ჩაითვალოს დადებითად, ხოლო რაც მას ეწინააღმდეგება — უარყოფითად. მიზნის მისაღწევად ხელისუფალი სიმკაცრესაც არ უნდა მოერიდოს. სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე და მისი ერთიანობის სიმტკიცის შესანარჩუნებლად, მაკიაველი ნებისმიერ საშუალებას დასაშვებად მიიჩნევდა, ეს იქნებოდა ძალადობა, სიცრუე, მკვლელობა, ღალატი, ვერაგობა თუ გამცემლობა.

აღორძინების პოლიტიკური იდეების ისტორიაში მნიშვნელოვანი შენაძენი იყო მაკიაველის მიერ შექმნილი იტალიის პოლიტიკური გაერთიანების თანამიმდევრული თეორია, რომელიც ეფუძნებოდა რეალური ვითარების ანალიზს და ნაკარნახევი იყო ღრმად გააზრებული პატრიოტიზმით.

სახელმწიფოს შესახებ არსებულმა პოლიტიკურმა თეორიამ, მისი შემქმნელის პატივსაცემად შეიძინა სახელი „მაკიაველიზმი". მასში მოიაზრებოდა პოლიტიკა, რომელიც უგულებელყოფდა მორალის ნორმებს, ქადაგებდა ცინიზმს და ყოველივე ეს მკვეთრად და ლაკონიურად იყო გამოსახული ცნობილ თეზისში: „მიზანი ამართლებს საშუალებას, გამარჯვებულს კი არ ასამართლებენ".

თხზულებაში „მსჯელობანი ტიტუს ლივიუსის პირველი დეკადის შესახებ", როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მაკიაველიმ აღწერა რომის სახელმწიფოს წყობა დანახული რესპუბლიკისა და ჭეშმარიტი დემოკრატიის მომხრის პოზიციიდან. სახელმწიფოს საუკეთესო ფორმად მას რესპუბლიკა მიაჩნდა. იგი უპირატესობას ანიჭებდა რესპუბლიკური მმართველობის ფორმას, განსხვავებით წარჩინებულების ხელისუფლებისა, სადაც ხალხს უფრო მეტი ნდობა უნდა გამოცხადებოდათ. მაგრამ იგი დარწმუნებული იყო, რომ იტალიური სინამდვილე მოითხოვდა ერთმმართველობის დამყარებას. მაკიაველი როდესაც აანალიზებდა შორეული წარსულის მოვლენებს და ამ მიზნით იყენებდა ანტიკურ ავტორთა თხზულებებს, იგი პარალელებს ავლებდა მის თანამედროვე ეპოქასთან და ზოგჯერ იტალიის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მომავალსაც პროგნოზირებდა. ამ თხზულებაში მაკიაველიმ უფრო ღრმად, ვიდრე სხვა ნაწარმოებებში, დაიწყო ძებნა იტალიის ხსნის მაგალითებისა ძველი რომის ისტორიიდან. იგი ბაძავდა ანტიკურ კლასიკოსებს არა მხოლოდ წერის მანერაში, არამედ მოვლენათა გაანალიზებასა და განსჯაშიც.

დანტეს, პეტრარკას და კოლა დი რიენცოს მსგავსად, მაკიაველი ოცნებობდა ერთიან, დიდ იტალიაზე. მაგრამ მათგან განსხვავებით მან შექმნა თავისი პოლიტიკური ოცნებების ზუსტი თეორიული დასაბუთება. თუმცა მისი მწყობრი თეორია იყო ზუსტი და გასაგები მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც ეხებოდა უშუალოდ მოქმედების პროგრამას. წარსულის მაგალითები, რომელიც ამოღებული იყო ისტორიიდან და გადატანილი იყო სხვა განზომილებაში, კარგავდა თავის დამაჯერებლობას და მომავალი საზოგადოების აღწერა ბუნდოვანი და დახლართული იყო.

მიუხედავად მაკიაველის შინაგანი ძალებისა და დარწმუნებისა, მგზნებარებისა და ლოგიკური მტკიცებულებებისა იტალიის ნაციონალური გაერთიანების შესაბამისი იდეა არ შეიძლებოდა განხორციელებულიყო იმიტომ, რომ ამ იდეამ გაუსწრო იტალიის განვითარებას რამდენიმე საუკუნით. მაკიაველის დასკვნებმა ზღვაში ჩაძირეს ის წინააღმდეგობები და სირთულეები, რომლებიც გადაიტანა მისმა სამშობლომ XVI საუკუნის პირველ მეოთხედში. ამ დროს იტალიური სახელმწიფოები ისე ღრმად შეეიდნენ თავის ინტერესთა დაშლა-დაქუცმაცებაში, რომ უკვე აღარ ჩანდა მათი სეპარატიზმის დაძლევის არანაირი პერსპექტივა. ეს განსაკუთრებით ეხებოდა იტალიის ომებს, როდესაც თითოეული სახელმწიფო მოქმედებდა სხვებისაგან დამოუკიდებლად.

იტალიური ომების თანამედროვე მაკიაველი იყო თვითმხილველი იტალიის სიძნელეებისა და სამხედრო სისუსტისა, ამიტომაც იგი ეძებდა მიზეზებს სხვა სახელმწიფოთა ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ, სწავლობდა მათ შეიარაღებულ ძალებს. ყოველივე ამის გათვალისწინებით იგი ეძებდა თავისი ქვეყნის ხსნის გზებს. ცნობილი იტალიელი მკვლევარი დე სანკტისი ამასთან დაკავშირებით წერდა: „მაკიაველი მაღალი ზნეობის მომხრეა; ის ქებას ასხამს დიდსულოვნებას, გულმოწყალებას, ღვთისმოსაობას, გულწრფელობას და სხვა სიქველეთ, მაგრამ იმ პირობით, რომ მათ შეიძლება რაიმე არგონ სამშობლოს, ხოლო თუ ისინი ხელშეწყობის მაგიერ, პირიქით, აფერხებენ მის წინსვლას, მაკიაველი უარყოფს და თავიდან იშორებს მათ“ (I, 48).

„მთავრის“ ავტორს პოლიტიკურ ამორალიზმში სდებდნენ ბრალს. პოლიტიკისა და მორალის ურთიერთმიმართების საკითხი კი მეტად დელიკატური პრობლემაა, რომელიც არსებითად ძალისა და სამართლიანობის თანაფარდობამდე დაიყვანება. ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში, ალბათ, იშვიათად თუ გამოუთქვამს უფრო

ზუსტად და ლაკონიურად ამ თანაფარდობის არსი, ვიდრე ეს მოახერხა ბლეზ პასკალმა: „მართებულია დაემორჩილო სამართლიანობას, შეუძლებელია არ დაემორჩილო ძალას. სამართლიანობა, რომელსაც ზურგს არ უმაგრებს ძალა, უძლურია; ძალა, რომლის ზურგსუკან არ დგას სამართლიანობა, ტირანულია. უძლურ სამართლიანობას ყოველთვის ფეხქვეშ გაიგებენ, იმიტომ რომ ამ ქვეყნად არ დაილევიან უკეთურნი; უსამართლო ძალა კი ყოველთვის აღაშფოთებთ კეთილთ. მაშასადამე, საჭიროა ძალისა და სამართლიანობის შერწყმა; ამიტომ ან სამართლიანობა უნდა გახდეს ძალა, ანდა ძალა სამართლიანი" (1, 49).

ძლიერი სამართლიანობა — სახელმწიფოებრივი სიბრძნისა და ზნეობის მარადიული იდეალი — ეს იყო მაკიაველის მთელი მოღვაწეობისა და მისი ოცნების ქვაკუთხედი. მიუხედავად მაკიაველის იდეების შემოქმედებითი აქტივობისა — მიეღო პოლიტიკური თანამდებობა, არ გამართლდა. უფრო მეტიც; რომის პაპმა ლეო X როცა გაიგო, რომ მედიჩები აპირებდნენ მაკიაველისათვის სამსახურის შეთავაზებას, დაავალა თავის მდივანს პიერო არდინჩელის, ამისათვის მკაცრად მოეთხოვა პასუხი ფლორენციის მმართველისათვის.

მაკიაველის მხარდაჭერა გამოუცხადა არა ფლორენციის ხელისუფლების მმართველმა ელიტამ, არამედ მედიჩების მიმართ ოპოზიციურად განწყობილმა საზოგადოებამ. 1516 წელს იგი დაუახლოვდა კოზიმო რუჩელაის და ძანობი ბუონდელმონტს. რუჩელაის ბაღში ხდებოდა მათი შეკრებები ახალგაზრდა პარტნიორებთან ერთად. ისინი საუბრობდნენ შემოქმედებით იდეებზე, ლიტერატურის ახალ პრინციპებზე. ეს შემოქმედებითი შეხვედრები დაედო საფუძვლად „მსჯელობებს ტიტუს-ლივიუსის პირველი დეკადის შესახებ". მაკიაველიმ ეს ნაწარმოები კონკრეტულად უძღვნა ძანობი ბუონდელმონტს 1519 წელს და ამით მან გამოხატა მისდამი განსაკუთრებული სითბო და პატივისცემა. აღნიშნული ნაწარმოები დაიწერა 1513-1517 წლებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ XVII-XVIII თავებზე მუშაობის დროს, მაკიაველიმ რამდენიმე თვით შეწყვიტა მუშაობა (1513 წლის ივლისი-დეკემბერი), როდესაც მან შექმნა „მთავარი". „მსჯელობანი" შედგება სამი წიგნისაგან, რომელთაგან პირველში გაანალიზებულია რომის რესპუბლიკის საშინაო პოლიტიკა, მეორეში — მისი საგარეო პოლიტიკა, მესამეში კი რომის ისტორიის შეფასება. ნაშრომის ასეთი კომპოზიცია თითქმის ზუსტად შეესაბამება მაკიაველის იდეების დინამიკას, მის მიზნებსა და მითითებებს, დროის მსვლელობის ცვლილებებთან ერთად, ისტორიას, მის იმედებსა და გაცრუებებს.

მაკიაველის ცხოვრების ბოლო პერიოდში შექმნილი პოლიტიკური ტრაქტატები და ისტორიული შრომები „თავისი სიღრმითა და დრამატიზმით ახლოს იყო მიქელანჯელოს „საშინელ სამსჯავროსთან“ (8, 360).

რუჩელაის ბაღების ატმოსფერომ ასევე ნაყოფიერი გავლენა მოახდინა მაკიაველის იმ შრომებზე, რომლებიც შეიქმნა 1516-1520 წლებში, მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მისი ცნობილი ტრაქტატი „სამხედრო ხელოვნების შესახებ“ (1519-1520 წწ.), სადაც სამხედრო-თეორიული მეცნიერების სრულყოფამ განსაკუთრებულ სიმაღლეს მიაღწია. ამ ნაშრომის გაცნობისას, მაკიაველი ჩვენს თვალწინ წარმოჩნდება, როგორც სამხედრო თეორეტიკოსი და სტრატეგი. საილუსტრაციოდ მოგვყავს მისი რამდენიმე შესანიშნავი გამონათქვამი — „მოლაშქრეთა სიმამაცე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მათი სიმრავლე, მაგრამ ხელსაყრელი პოზიცია ზოგჯერ სიმამაცეზე უფრო სასარგებლოა და მომგებიანი“... „ხალხი, იარაღი, ფული და პური — აი ომის სასიცოცხლო ძალა, მაგრამ ამ ოთხიდან უმთავრესია პირველი ორი, ვინაიდან ხალხითა და იარაღით ყოველთვის შეიძლება ფულისა და პურის შოვნა, მაშინ როდესაც მარტოოდენ ფულით და პურით ვერც ხალხს იშოვნი და ვერც იარაღს“ (1, 63-64).

მაკიაველის თხზულებები გამოირჩევიან მკვეთრი გამომსახველობით, გამოკვეთილი სახეების შექმნითა და სიტყვათა სილამაზით. მისი ლიტერატურული შემოქმედება წარმოადგენს შესანიშნავი სუფთა და მკაცრი იტალიური პროზის ნიმუშებს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია „დიალოგი ჩვენი ენის შესახებ“ (1514-1516წწ.).

დაუმთავრებელ პოემაში „ოქროს ვირი“ (1516-1517წწ.) მთავარი გმირი გამოხატავს თეითონ მაკიაველის პესიმისტურ შეხედულებებს საზოგადოებაზე.

„ზღაპრები ბელთაგორის შესახებ“ (1518წ.) ეს არის იტალიური აღორძინების ერთ-ერთი საუკეთესო ნოველა. მისი სათავე ხალხური ზღაპრებია, რომლებიც გლეხურ საზოგადოებაში იშვა. მასში გადმოცემულია მძაფრი სატირა მაკიაველის დროინდელი ეპოქის ყოფასა და ადათ-წესებზე. მკვეთრად სატირული და ამავე დროს გასართობი კომედიები „მანდრაგორა“ (1518წ.) და „კლიცია“ (1525წ.) ძირითადად ადათ-წესების თემას ეხებოდა.

ფლორენციული პოეზიის სულისკვეთებით შექმნა მაკიაველიმ კაპიტოლიები „უმადურობის შესახებ“, „ფორტუნას შესახებ“, „პატივმოყვარეობის შესახებ“, „შემთხვევის შესახებ“, „თხზულება

ბარბარეზე“ და სხვა ლირიკული ნაწარმოებები. უმეტეს მათგანში გარკვეული დოზით ნამოწეული იყო პოლიტიკური და ფილოსოფიური საკითხები.

1519 წელს მაკიაველის მეგობრების, განსაკუთრებით კი ვეტორის გააქტიურების შედეგად, მან მოიპოვა ფლორენციაში დაბრუნების უფლება. მაკიაველიმ სცადა თავი შეეხსენებინა ფლორენციის იმდროინდელი მმართველებისათვის. ამ მიზნით დაწერა ლირიკული ხასიათის ნაწარმოები „ჯულიანო და ლორენცო მედიჩებისათვის“. რომის პაპს ლეო X, რომელიც ფლორენციის რესპუბლიკასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული, მაკიაველიმ მიუძღვნა ნაშრომი „ფლორენციის საქმეთა გაუმჯობესების განსჯის შესახებ“ (1519 წ.), რომელშიც ის თამამად სთავაზობდა მმართველობის სისტემაში ცვლილებების შეტანას. ეს თხზულება იქცა იტალიის წარსული და მაკიაველის თანამედროვე სახელმწიფოებრივი მმართველობის ფორმების შესწავლის ანალიზად. მასში ავტორმა მოგვცა ახალი სახელმწიფოებრივი წყობის თეორიული დასაბუთება. ამ წყობას უნდა შეეცვალა მედიჩების ტირანია ფლორენციაში. მაგრამ ვერც ამჯერად მიიპყრო მაკიაველის თხზულებამ ფლორენციის ხელისუფალთა ყურადღება. მისი ოცნება, სახელმწიფოებრივი მმართველობის გარდაქმნის შესახებ, მათგან მოწონებულ არ იქნა. დროდადრო მაკიაველი წერდა სხვადასხვა გასართობი ხასიათის ნაწარმოებებსაც: „მეუდაბნოე“, „ციდან განდევნილი ეშმაკები“, „მწუხარებით შეპყრობილი შეყვარებულები და ქალბატონები“ და სხვა.

1520 წლის შემოდგომაზე მაკიაველიმ სცადა ფლორენციის უნივერსიტეტის ყურადღების მიპყრობა და ამ მიზნით მან მეგობრებს დაუგზავნა ჯერ კიდევ მელანშეუმშრალი თავისი ახალი ნაწარმოები „ლუკელი კასტრუჩო კასტრაკანის ცხოვრება“. ეს ნაწარმოები დაიწერა მას შემდეგ, რაც მაკიაველი ლუკაში გაიგზავნა უმნიშვნელო დავალებით — მოეგვარებინა კერძო პირების სავაჭრო საქმეები. ლუკაში ის გაეცნო ქალაქის ისტორიულ წარსულსა და სახელმწიფო წყობას, აგრეთვე ცნობილი კონდოტიერისა და ტირანის კასტრუჩო კასტრაკანის (XIV ს.) ბიოგრაფიას. თავისი შთაბეჭდილებები მან იმავე წელს დაწერა წიგნში „ქალაქ ლუკას აღწერა“. მასში იდეალიზებული იყო კასტრუჩო კასტრაკანის ცხოვრება. ამ თხზულებით მას უნდოდა თავისი მეგობრებისათვის ისტორიული ფაქტების დალაგების მეთოდი ეჩვენებინა. იმავე წლის ნოემბერში მაკიაველი სახელმწიფო სამსახურს უბრუნდება. ამჯერად მას ისტორიოგრაფის თანამდებობაზე ვხედავთ.

მაკიაველის იმედები რეალობად იქცა ფლორენციის უნივერსიტეტის პატრონისაგან კარდინალ ჯულიო მედიჩისაგან. ნიკოლომ მიილო დავალება — დაეწერა „ფლორენციის ისტორია“.

ფლორენციის ხელისუფლებამ აღიარა მაკიაველის ლიტერატურული დამსახურება. რაც შეეხება მის პოლიტიკურ მოღვაწეობას, მედიჩები მას უმნიშვნელოდ სწყალობდნენ. ამ მხრივ ძალზე იშვიათად და ისიც მეორეხარისხოვან დავალებებზე შესასრულებლად იყენებდნენ მის დიპლომატიურ ტალანტს. ასე, მაგალითად, 1521 წელს იგი გაიგზავნა კარპის ფრანცისკანულ მონასტერში, სადაც კარდინალ ჯულიო მედიჩის სახელით შუამდგომლობდა ფლორენციის მონასტრების საგანგებო პროვინციად განცალკევების საკითხს. გარდა ამისა, მატყლის საამქროს კონსულებმა დაავალეს მას — კარპიდან ფლორენციაში ჩაეყვანა კარგი მოძღვარი. 1525 წელს მაკიაველი გაიგზავნა ვენეციაში, რათა იქ დაეცვა ფლორენციელ ვაჭართა ინტერესები. იგი ენერგიულად ასრულებდა თავისი სახელმწიფოს, თუნდაც უმნიშვნელო დავალებებს, მაშინ როდესაც სხვა სახელმწიფოთა ლიდერების სარფიან წინადადებებზე უარს აცხადებდა. მაგალითად, 1521 წელს მან უარი განუცხადა კარდინალ პროსპერო კოლონას მის მდივნობაზე, ასევე უარი განაცხადა საფრანგეთში სამსახურზეც.

1522 წელს მაკიაველი კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, გაიხსნა შეთქმულება, რომლის მიზანი იყო ფლორენციის მმართველის კარდინალ ჯულიო მედიჩის მოკვლა. მის სათავეში იყო ძანობი ბუონდელმონტი და ლუიჯი ალამანი. შეთქმულები დაკავშირებული იყვნენ რუჩელაის ბაღის მსმენელებთან. ჯულიო მედიჩიმ იცოდა, რომ მაკიაველი პირადად ახლოს იცნობდა შეთქმულებს, თუმცა მან იგი ვერ გაიმეტა დასაპატიმრებლად.

პრაქტიკული პოლიტიკის პრობლემების კვლევისას მაკიაველის ყურადღების ცენტრში ყოველთვის იდგნენ გვირგვინოსანი პირები და სახელმწიფო მოღვაწეები. აქედან გამომდინარე, ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ელჩების საქმიანობას, რომელთაც უშუალოდ ევალებოდათ მათთან ურთიერთობების დარეგულირება. ყურადღების მიღმა არ სტოვებდა წმინდა პრაქტიკულ საკითხებსაც; ელჩის ქცევის ნორმებს უცხო ქვეყანაში, მოლაპარაკების წარმართვის უნარს, დაკვირვებას, მოხსენებითი ბარათის შედგენას და ა.შ.

ამ მხრივ ნიშანდობლივია 1522 წელს მაკიაველის მიერ შედგენილი ინსტრუქცია, რომელიც მან მისცა ესპანეთის იმპერატორის კარლ V კარზე გაგზავნილ ფლორენციის ელჩს — რაფაელო ჯიროლამოს: „...უწინარეს ყოვლისა, თქვენ უნდა შეისწავლოთ იმპერატორის ხასი-

ათი: თვითონ მართავს სახელმწიფოს თუ სხვებს ანდობს მის მართვას, ძუნნია თუ უხვი, ომის მოსურნეა თუ მშვიდობის მოყვარე, რა უფრო ძლიერია მასში: პატივმოყვარეობა თუ რაიმე სხვა ვნება, პატივისცემით სარგებლობს თუ არა თავის ქვეშევრდომთა შორის, რანაირი მრჩევლები ახვევია გარს, რა სურთ ამ მრჩევლებს: ახალ-ახალი ომებისათვის აქეზებენ თუ ურჩევენ ისარგებლოს თავისი ახლანდელი მდგომარეობით, რაც ესოდენ ხელსაყრელია მისთვის? თქვენ უნდა დაუკვირდეთ აგრეთვე იმპერატორისაგან განკერძოებით მცხოვრები ბარონებისა და დიდებულების განწყობილებას, გაიგოთ დიდია თუ არა იმათი გავლენა და ძლიერება, კმაყოფილი არიან თუ არა იმპერატორით, ანდა თუ უკმაყოფილონი არიან, რა გზით შეუძლიათ ავნონ მას, და შეუძლია თუ არა საფრანგეთს მათი მოსყიდვა და თავის მხარეზე გადაბირება?" (1, 18).

თავის დიპლომატიურ მოღვაწეობაში მაკიაველი პირადად იყენებდა იმ წესებს, რომლებსაც სახელმძღვანელო პრინციპად უსახავდა ჯიროლამოს. ამის შესანიშნავი ნიმუშია იმპერატორ მაქსიმილიანე I თუ ჩეზარე ბორჯას მისეული დახასიათებანი, რომლებშიც აზრის სიცხადე და გამჭრიახობა უშუალოდ ერწყმის მოვლენების არსში უებრო წვდომის უნარსა და ადამიანის ფსიქიკის ღრმა ცოდნას.

მოგვიანებით მთელი თავისი არსებით მაკიაველი დაკავებული იყო „მანდრაგორას" თეატრში დადგმით, რომელიც 1524 წელს წარმოდგენილ იქნა ბერნარდო დი ჯორდანოს სახლის სცენაზე.

მაგრამ მისთვის მთავარ მიზანს მაინც „ფლორენციის ისტორიაზე" მუშაობა წარმოადგენდა, რომელიც 8 წიგნად იქნა დაწერილი. მასში ძირითადად გადმოცემული იყო მთელი იტალიის პოლიტიკური ისტორია. მაკიაველი ცდილობდა აეხსნა იტალიის ისტორიული განვითარების სოციალური მიზეზები. ამავე დროს, მისი აზრით, ისტორიის განვითარების მამოძრავებელ ძალას პოლიტიკური ბრძოლა წარმოადგენდა. ნაშრომის ყურადღების ცენტრში იდგნენ ადამიანები, ხალხი, ქვეყანა. მაკიაველის აშკარა სიმპათიები ვაჭარ-ხელოსანთა ფენის მხარეზე იდგა. ჰუმანისტური ისტორიოგრაფიის ტრადიციებზე დაწერილი ეს თხზულება მაკიაველიმ 1525 წელს დაასრულა. იმავე წელს იგი ჩავიდა რომში და იქ ეს ნაშრომი გადასცა პაპს კლიმენტ VII, რომელმაც იგი დაუკვეთა ჯერ კიდევ 1520 წელს, კარდინალ ჯულიო მედიჩად ყოფნის დროს.

„ფლორენციის ისტორიის" გადაცემის დროს, მაკიაველიმ პაპს სთხოვა არა ჰონორარის გაზრდა, არამედ რომანიაში პაპის საკუთარი შეიარაღებული ძალების შექმნა, სახალხო ლაშქრის სახით. მაკია-

ველი შეშფოთებული იყო იმით, რომ იტალიის დამოუკიდებლობას ემუქრებოდა ესპანეთი, რომელსაც სათავეში ედგა იმპერატორი (1519 წლიდან) კარლ V; იგი ამაზრზენად ტრაბახობდა „ჩემს იმპერიაში მზეც კი ვერ ბედავს ამოსვლასო".

მაკიაველიმ წარუდგინა კლიმენტ VII თავისი მოსაზრებანი იტალიის შესაძლებელი ხსნის შესახებ. ფაენცაში მასთან ერთად ამავე საკითხზე მინვეულ იქნა ფრანჩესკო გვიჩარდინი, რომელსაც პაპი ძალიან ენდობოდა.

ფრანჩესკო გვიჩარდინი (1483-1540წწ.) იყო პოლიტიკური მოღვაწე, შესანიშნავი დიპლომატი, რომელმაც მოგვიანებით თავი გამოიჩინა როგორც ისტორიკოსმა თავისი თხზულებით „იტალიის ისტორია". იგი მიეკუთვნებოდა ფლორენციის მაგნატებს. მედიჩების რესტავრაციის პერიოდში იგი ერთგულად ემსახურებოდა მათ და ხანგრძლივი დროის განმავლობაში მედიჩების გვარის 2 პაპის კარზე მაღალი თანამდებობები ეჭირა. 1516-1524 წლებში გვიჩარდინი იყო პაპ ლეო X წარმომადგენელი მოდენაში; კლიმენტ VII დროს 1524-1526 წლებში — რომანიაში და 1531-1534 წლებში — ბოლონიაში.

გვიჩარდინის დიპლომატიური აფორიზმებიდან ძალზე შთამბეჭდავად ჟღერს მისი ცნობილი ფრაზა: „გააკეთეთ ყველაფერი, რათა აღმოჩნდეთ გამარჯვებულის მხარეზე" (21, 288). როგორც პოლიტიკოსი, იგი ვერ იტანდა პაპობას და საერთოდ ეკლესიას, თუმცა მიუხედავად ამისა, ორ პაპთან სამსახურმა მას პოლიტიკური კარიერა შეუქმნა.

ფრანჩესკო გვიჩარდინი, მაკიაველის უმცროსი თანამედროვე, კარგად იყო განწყობილი ნიკოლოსადმი და დიდად აფასებდა მის გონებასა და ენერგიას. იგი მზად იყო მაკიაველის რჩევები მიეღო. როდესაც მაკიაველიმ წინადადება მიიღო ჩასულიყო ფაენცაში და მონაწილეობა მიეღო იტალიის დაცვის სასწრაფო ღონისძიებათა განხილვაში, ამან მას საშუალება მისცა ჩართულიყო აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებაში. მაკიაველიმ გვიჩარდინის შესთავაზა — დაეწყოთ ბრძოლა გარეშე მტრის წინააღმდეგ სახალხო ლაშქრით (მილიცია), რომელიც შეცვლიდა კონდოტიერთა დაქირავებულ ჯარებს. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ გვიჩარდინი აფასებდა მაკიაველის აზროვნებას რთულ სიტუაციებში ორიენტირებისას, მისი წინადადება არ მიიღო. მსხვილი და გარკვეულწილად რეაქციული ფლორენციელი ბურჟუაზიის იდეოლოგი და აშკარა წარმომადგენელი გვიჩარდინი ზიზღით უყურებდა დემოკრატიულ მმართველობას და ვერ იტანდა ხალხს. მაკიაველის პროექტი მას ძალზე სახიფათოდ ეჩვენებოდა.

გეიჩარდინის პანიკურად ეშინოდა ხალხის მასების აქტივობისა და გამოსვლებისა, ამიტომაც მიუხედავად იმისა, რომ ეს ქვეყნის თავდაცვის ინტერესებს ემსახურებოდა, თავი შეიკავა ხალხისათვის იარაღის გადაცემაზე.

1526 წლის მაისში პაპ კლიმენტ VII ინიციატივით კონიაკში შეიქმნა ანტიესპანური ლიგა, რომელშიც გაერთიანდნენ: საფრანგეთი, ვენეცია, გენუა, ფლორენცია და მილანოს ჰერცოგი. იტალია ომისათვის სამზადისს შეუდგა. მაგრამ კარლ V მოვლენებს დაასწრო. მან გერმანიაში შერჩეული 12 ათასი მეომრით მილანო აიღო. უშუალო საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა ფლორენცია. ნიკოლომ გადაწყვიტა დახმარებოდა მშობლიურ ქალაქს. მან ლიგას წარუდგინა ქალაქის დაცვის პროექტი, რომელიც მოწონებულ იქნა.

ფლორენციაში შეიქმნა ახალი მაგისტრატურა — „ხუთთა კომისია", რომელსაც დაევალა ქალაქის თავდაცვითი ზღუდეების გამაგრება. მდივნად დაინიშნა მაკიაველი. ეს იყო მისი პირველი თანამდებობა, რომელიც მან მიიღო მედიჩების მმართველობის დროს. სამწუხაროდ, მისთვის იგი უკანასკნელი აღმოჩნდა. მაკიაველის ესმოდა, რომ ომი გარდაუვალი იყო, ამიტომაც მისთვის დამახასიათებელი შემართებით შეუდგა აქტიურ საქმიანობას. მას ყველგან ხედავდნენ: საფორტიფიკაციო ნაგებობებზე, ჯარისკაცებს შორის, ბრძოლის ველზე. ამ პერიოდში მაკიაველი განასახიერებდა იტალიურ „virtu"-ს (ზნეობრიობასა და სათნოებას). 1526-1527 წლებში იგი მაქსიმალურად იყო დატვირთული და ყველანაირად ცდილობდა მუდამ მერყევ პაპ კლიმენტ VII საკუთარი ძალების რწმენა და სიმტკიცე გაეძლიერებინა.

1527 წლის გაზაფხულზე ფლორენციამ, მაკიაველის ენერგიული საქმიანობის წყალობით, შესძლო თავდაცვითი ბრძოლისათვის მომზადება. კარლ V გერმანულ-ესპანურმა ჯარებმა დაიწყეს მოძრაობა მილანოდან სამხრეთისაკენ, გზაზე ისინი ძარცვავდნენ და ანადგურებდნენ ყველაფერს. საიმედოდ გამაგრებულ ფლორენციას მათ გვერდი აუარეს და თანდათანობით რომს მიუახლოვდნენ. ამან იტალიის მდიდარ ქალაქებში საშინელი პანიკა გამოიწვია. 1527 წლის მაისის დასაწყისში დამპყრობელთა მოწინავე რაზმები „მარადიულ ქალაქში" შეიჭრნენ. უმდიდრესი და თავდაცვის უნარის არმქონე რომი არნახულად იქნა გაძარცვული (sacco di Roma). კლიმენტ VII სანტანჯელოს ციხესიმაგრეში ჩაიკეტა. დამპყრობლებმა არ დაინდეს არც უძველესი წმინდა ადგილები, არც ხელოვნების ძეგლები და ნაციონალური რელიკვიები.

ფლორენციაში ხალხის მასებმა ისარგებლეს კარლ V შეტევით რომზე, მედიჩების ოჯახის წევრებს შორის ურთიერთდაპირისპირებით, შავი ჭირის ეპიდემიით გამოწვეული სრული უწესრიგობით და მათთვის საძულველი მედიჩები კვლავ განდევნეს ფლორენციიდან.

1527 წლის სახელმწიფო გადატრიალების შედეგად აღდგენილ იქნა რესპუბლიკური მმართველობა. ხელისუფლებაში მოვიდნენ საეონაროლას მომხრეებიდან გადარჩენილი „პლაქსები" და რადიკალურად განწყობილი ხელოსნები და ვაჭრები. კვლავ ამოქმედდა დიდი საბჭო, აღდგენილ იქნა საეონაროლას დროინდელი კონსტიტუცია, მუშაობას შეუდგა ათთა საბჭოც. 60 წელს მიტანებულმა მაკიაველიმ მასში მუშაობის სურვილი გამოთქვა და თავისი კანდიდატურა წარადგინა ფლორენციის რესპუბლიკის მეორე კანცელარიის მდივნის თანამდებობაზე. მაგრამ მისი დიპლომატიური წარმატებები და პოლიტიკური მოღვაწეობა აღარავის ახსოვდა. სამაგიეროდ, ფლორენციელ დიდებულებში ერთსულოვან აღშფოთებას იწვევდა მისი ლიტერატურული საქმიანობა. „სამშობლოს საიმედო ხალხი სჭირდება და არა სნავლულები. მაკიაველი ისტორიკოსია... ის დაგვციინის და ზემოდან გვიყურებს!.. ერთთავად დუქანში ეგდო, მეტიც, ბიბლიოთეკაში ძველისძველი წიგნების ქექვით იქცევდა თავს. არ გვინდა ფილოსოფოსები. ძირს ფილოსოფოსები!" გაიძახოდნენ ისინი.

1527 წლის 10 მაისს მაკიაველის საკითხი გადაწყდა. რესპუბლიკის დიდი საბჭოს სხდომაზე მან 12 ხმა მიიღო 555-ის წინააღმდეგ. ღირსეულის ადგილი უღირსმა დაიკავა. მეორე კანცელარიის მდივნად არჩეულ იქნა მედიჩების ყოფილი მსხვილი სახელმწიფო ჩინოვნიკი ფრანჩესკო ტარუგი. სამწუხაროდ ასეთი იყო პროგრესულ და რეაქციულ ძალთა განლაგება დიდ საბჭოში.

1527 წლის 21 ივნისს მაკიაველი გარდაიცვალა. სხვა ვერსიით, იგი ნელად მოქმედი საწამლავის მსხვერპლი შეიქნა. სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე, იგი წერდა: „მე უფრო მეტად მიყვარს ჩემი სამშობლო, ვიდრე ჩემი სული". მაკიაველი დაკრძალეს სანტა-კროჩეს ეკლესიაში, რომელიც იქცა ფლორენციის პანთეონად. მის გვერდით განისვენებენ მიქელანჯელო, გალილეი და სხვა გამოჩენილი იტალიელები.

მაკიაველი გარდაიცვალა, ფაქტიურად მომაკვდავ რესპუბლიკურ ფლორენციაში. საქმე ის იყო, რომ კლიმენტ VII რომ დაებრუნებინა ოჯახი ამბოხებულ ქალაქში, ფლორენციაში მიიხმო რომის გამანადგურებელი ესპანელები და გერმანელები. რესპუბლიკის უკანასკნელ პერიოდში ფლორენციის მოქალაქეები გმირული შემართებით ებრ-

ძოდნენ მედიჩების, კლიმენტ VII და კარლ V გაერთიანებულ ძალებს. მოქალაქეებს შეუერთდა 10 ათასამდე ადგილობრივი გლეხი. მათი გმირული თავდაცვა გაგრძელდა თერთმეტი თვე. მტრის ალყამ, ქალაქში გაჩენილმა შიმშილმა და საუკეთესო მეომრების სიკვდილმა, ქალაქი აიძულა დანებებოდა. 1530 წლის 12 აგვისტოს ფლორენციაში შეეიდნენ კარლ V ჯარები, რის შედეგადაც აღდგენილ იქნა მედიჩების მმართველობა და განადგურებულ იქნა დემოკრატიული და რესპუბლიკური წყობის ყველა ნიშანი.

1532 წელს ფლორენცია სასტიკი ალესანდრო მედიჩის მეთაურობით ტოსკანის საჰერცოგოდ გამოცხადდა. ფაქტიურად ამით წერტილი დაესვა ტოსკანის პოლიტიკურ დამოუკიდებლობასა და ფლორენციის გმირულ ეპოქას. ყოველივე ამით კი არსებითად დასრულდა იტალიური აღორძინების კულტურა. ტოსკანის საჰერცოგოს მედიჩების დინასტია მართავდა კიდევ ორასი წლის განმავლობაში — 1737 წლამდე.

მაკიაველის ძირითადი თხზულებანი გამოიცა 1532 წელს, მაგრამ XVI საუკუნის შუალედში დაიწყო კონტრრეფორმაცია მედიჩების გვარის წარმომადგენლის პაპის პიუს IV (1559-1565წწ.) მიერ. 1559 წლის ინტერდიქტის გამოცხადების საფუძველზე მაკიაველის წიგნები შეტანილ იქნა „აკრძალული წიგნების ინდექსში". აღორძინების ეპოქის არც ერთ მოაზროვნეს არ დასტეხია თავს ასეთი გაშმაგებული დევნა ფეოდალური კათოლიციზმისაგან, როგორც „მთავრის" შემქმნელს — ნიკოლო მაკიაველის. სამაგიეროდ — შემდეგი ხუთასი წლის მანძილზე აღორძინების ეპოქის არც ერთ მოაზროვნეს არ მოუპოვებია ისეთი მსოფლიო აღიარება, როგორიც მოიპოვა ნიკოლო მაკიაველიმ. XVII საუკუნის უდიდესი ინგლისელი ფილოსოფოსი და სახელმწიფო მოღვაწე ფრენსის ბეკონი წერდა: „ჩვენ მადლობელი უნდა ვიყოთ მაკიაველის, რომელმაც აშკარად და შეუფარავად გამოხატა, თუ როგორ იქცევიან ადამიანები ჩვეულებრივად და არა ის, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ".

მაკიაველის უდიდესი დამსახურების შეფასებაა ნაპოლეონის ცნობილი სიტყვები: „მთავარი" ის ერთადერთი წიგნია, რომელიც მთელი ცხოვრება უნდა იკითხო".

ნიკოლო მაკიაველის აფორიზმები

ადამიანები, ერთი და იმავე კანონების თანახმად იბადებიან, ცხოვრობენ და კვდებიან... ვინც დაუკვირდება წარსულსა თუ აწინდელ მოვლენებს, ადვილად შეამჩნევს, რომ ყველა სახელმწიფოში, ყველა ხალხში მბრძანებლობენ და მბრძანებლობდნენ ერთი და იგივე სურვილები და მისწრაფებები.

*

უცხოელი მოხალისენი არასოდეს არ ეკუთვნიან საუკეთესო ჯარისკაცების რიცხვს, პირიქით, ესენი არიან ქვეყნის ნაძირალები; თავზეხელაღებული, არასმაქნისნი, აღვირახსნილნი, უღმერთონი, შინიდან გამოქცეულნი, მკრეხელნი, აზარტულ თამაშთა ტრფიალნი, — აი, ვინ არიან ეს მონადირენი. არაფერი ისე არ ეწინააღმდეგება ნამდვილი და მტკიცე მხედრობის სულს, როგორც ამნაირი ზნეჩვეულებები.

*

ყველაზე უკეთესია ის არმია, რომელიც საკუთარი მოქალაქეებისგან არის შემდგარი, და მხოლოდ ამ გზით შეიძლება ასეთი არმიის შექმნა.

*

სამშობლოს სიყვარული ბუნებით თანდაყოლილი გრძნობაა, მხედართმთავრის სიყვარულს კი მისი ნიჭი განაპირობებს, რომელიც ამ შემთხვევაში ყოველგვარ ქველმოქმედებაზე უმჯობესია.

*

ბუნება იშვიათად ბადებს მამაცებს; ისინი მეტწილად წვრთნისა და განსწავლის შვილები არიან.

*

ყოველივე ის, რაც სასარგებლოა მტრისათვის, საზიანოა შენთვის; ყოველივე ის, რაც სასარგებლოა შენთვის, საზიანოა მტრისათვის. იმას, ვინც ომის დროს მოწინააღმდეგეს უფრო ფხიზლად ადევნებს თვალს და უფრო გულმოდგინედ წვრთნის თავის ლაშქარს, ნაკლები საფრთხე ემუქრება და შეუძლია გამარჯვების უფრო მეტი იმედი ჰქონდეს.

*

უნდა გქონდეს იმის უნარი, რომ ბრძოლის ველზე სწრაფად შეიცნო ხელსაყრელი ვითარება და დროულად ისარგებლო ამით. ეს ხელოვნება ყოველგვარ სხვა ხელოვნებაზე სასარგებლოა.

*

ვინც ჯარის მომარაგებაზე არ ზრუნავს, მანამდე დამარცხდება, სანამ ხმალს იშვლებდეს.

*

უნდა შეგეძლოს გადაწყვეტილებების შეცვლა, თუკი ამჩნევ, რომ მოწინააღმდეგემ გამოიცნო იგი.

*

მშვიდობის დროს სიმკაცრით და სასჯელის შიშით დაიურვე ჯარისკაცები, ომის დროს კი იმედით და ჯილდოს აღთქმით ნააქეზე ისინი.

*

ბედისწერას მე ვამსგავსებ ბობოქარ მდინარეს, გამძვინვარებული რომ გადმოლახავს ნაპირებს, წალეკავს ხეობებს, ძირფესვიანად თხრის ხეებს, ანგრევს შენობებს, ერთი ადგილიდან გლეჯს და მეორეზე გადააქვს მიწა; ყველა გაურბის, ყველა უკუიქცევა მისი სიშმაგის წინაშე, არავის ძალუძს წინ აღუდგეს მის მძვინვარებას.

*

ვინც სხვისი ძლიერების ზრდას უწყობს ხელს, თვითონვე ითხრის ორმოს.

*

როდესაც იპყრობენ სახელმწიფოებს, ...არსებობს მათი შენარჩუნების სამი სხვადასხვა საშუალება. პირველი: მიწასთან გაასწორო ისინი; მეორე: პირადად დასახლდე იქ; მესამე: თავიანთი კანონების მიხედვით ცხოვრების ნება მისცე და ხარკი დაადო მათ.

*

არ არსებობს ქალაქის შენარჩუნების უკეთესი საშუალება, ვიდრე დანგრევა და დაქცევა მისი. ამიტომ, მას, ვინც დაეუფლება, მაგრამ ბოლოს კი არ მოუღებს თავისუფლებას ნაჩვევ ქალაქს, თვითონვე მოელება ბოლო მისი ხელით, ვინაიდან ეს ქალაქი ყოველთვის ეცდება ამბოხების გზით დაიბრუნოს თავისუფლება.

*

ბრძენ მთავარს დიახაც მართებს იმაზე ფიქრი, თუ როგორ უნდა მოიქცეს, რათა მისი ძალაუფლება ყოველთვის და ყოველგვარ ვითარებაში აუცილებელი იყოს მოქალაქეებისთვის, და მაშინ ისინი ყოველთვის უერთგულებენ მას.

*

მთავარს არ უნდა ჰქონდეს სხვა მიზანი, სხვა საზრუნავი და არც სხვა ხელობა, გარდა ომისა, ვინაიდან მბრძანებელს მხოლოდ სამხედრო ხელოვნება შეშვენის...

*

მთავარს, რომელსაც სამხედრო საქმის არა გაეგება რა, თავს ატყდება ათასგვარი უბედურება, რასაც ზედ ერთვის მისივე ჯარისკაცების ზიზღი.

*

მთავარი არასოდეს არ უნდა ივიწყებდეს სამხედრო საქმეში თვითნვრთნას, რასაც მშვიდობიანობისას უფრო მეტ დროს უნდა უთმობდეს, ვიდრე ომის ჟამს.

*

რაც შეეხება გონებრივ წვრთნას, მთავარი ხშირად უნდა კითხულობდეს ისტორიას, და განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა აქცევდეს დიდი ადამიანების მოქმედებას, უნდა სწავლობდეს მათ საომარ

ხელოვნებას და იხილავდეს მათი გამარჯვებისა თუ დაღუპვის მიზეზებს, რათა ბაძავდეს მათ წარმატებას და თავიდან იცილებდეს მათსავე მარცხს.

*

უფრო გონივრულია, შეურიგდე ძუნწის სახელს, რომელიც ინვევს სირცხვილს სიძულვილის გარეშე, ვიდრე მიელტვოდე გულუხვის სახელს და, ძალაუნებურად, მტაცებლად იქცე, რაც თავს დაგატეხს სირცხვილსაც და სიძულვილსაც.

*

მოლაშქრეთა სიმამაცე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მათი სიმრავლე, მაგრამ ხელსაყრელი პოზიცია ზოგჯერ სიმამაცეზე უფრო სასარგებლოა და მომგებიანი...

*

მმართველის გონიერებაზე, მასთან დაახლოებული ადამიანების მიხედვით მსჯელობენ.

*

საფუძვლიანი ისტორიული ერუდიცია და თანადროული ვითარების ღრმა და ამომწურავი ცოდნა — აი ეს არის აუცილებელი სტრატეგისთვის.

*

იცვლებიან თაობები, იცვლებიან საზოგადოებრივი ფორმაციები, უცვლელი რჩება, მხოლოდ ისტორიული პროცესის მამოძრავებელი ძალა — ადამიანი.

*

ყველა სახელმწიფოში, ყველა ხალხში მბრძანებლობენ ერთი და იგივე სურვილები და მისწრაფებები.

*

პოლიტიკური მეცნიერება, ისევე როგორც პოლიტიკური ხელოვნება, უწინარეს ყოვლისა ადამიანის, მისი ბუნების, მისი ვნებების, მისი საარსებო მოთხოვნილებების და მათი დაკმაყოფილებისთვის ბრძოლის ნაირგვარ საშუალებათა ცოდნას ემყარება.

*

მთავარს, რომელსაც ძალაუფლების შენარჩუნება სურს, უთუოდ უნდა ჰქონდეს იმის უნარი, რომ დროდადრო ივინყებდეს სიკეთეს და გარემოებებისდა მიხედვით იყენებდეს ან არ იყენებდეს ამ უნარს.

*

სასარგებლოა მტრისადმი ზიზღის გრძნობას უნერგავდე შენს მეომრებს...

*

ყველაზე უკეთესი ჩანაფიქრი ის ჩანაფიქრია, რომელიც მის აღსრულებამდე დაფარული რჩება მოწინააღმდეგესთვის.

*

თუკი მოწინააღმდეგის მოლაშქრეთა ნაწილი შენს მხარეზე გადმოვა და ერთგულად გემსახურება, ყოველთვის დიდ წარმატებად მიიჩნიე ეს. მოღალატენი უფრო მეტად ასუსტებს მტერს, ვიდრე მოკლულნი.

*

ძნელია მოულოდნელობასთან ბრძოლა, ხოლო ყოველივე წინასწარ გათვალისწინებულთან ადვილი...

*

ხალხი, იარაღი, ფული და პური — აი, ომის სასიცოცხლო ძალა, მაგრამ ამ ოთხიდან უმთავრესია პირველი ორი, ვინაიდან ხალხითა და იარაღით ყოველთვის შეიძლება ფულისა და პურის შოვნა, მაშინ როდესაც მარტოოდენ ფულით და პურით ვერც ხალხს იშოვნი და ვერც იარაღს.

*

სასტიკად სცდება ის, ვისაც სწამს სამართლიანობის საბოლოო ტრიუმფი.

*

კანონიერება ისეთსავე როლს ასრულებს სახელმწიფოს ცხოვრებაში, როგორსაც ნერვიული სისტემა — ადამიანის ორგანიზმში...

*

ომი არის პოლიტიკის გაგრძელება სხვა საშუალებებით.

*

ერთი ცვლილება ყოველთვის გზას უხსნის მეორეს.

*

რაგინდ ძლიერიც არ უნდა იყოს მთავარი, ლაშქარი მაინც ვერ შესძლებს ამა თუ იმ ქვეყანაში შეღწევას ადგილობრივი მაცხოვრებლების დაუხმარებლად.

*

მთავარი თუ დაპყრობილ ქვეყანაში ცხოვრობს, იშვიათად დაკარგავს მას.

*

ადამიანები ან ალერსით უნდა მოინადირო, ანდა სულაც თავიდან მოიშორო ისინი.

*

ვინც ზნე-ჩვეულებებით განსხვავებულ ქვეყანაში ცხოვრობს, ნაკლებად ძლიერი მეზობლების თავკაცად ან მფარველად უნდა იქცეს, ყოველნაირად ეცადოს უფრო ძლიერთა დასუსტებას და ფხიზლად უნდა ეჭიროს თვალი, რათა ქვეყანაში მასზე არანაკლებ ძლევამოსილი მბრძანებელი არ შემოიჭრას.

*

დაპყრობის ჟინი სავსებით ბუნებრივი და ჩვეულებრივი რამ გახლავთ; და ყოველთვის, როდესაც ამ ჟინსაა აყოლილი კაცი, რომელსაც მისი დაცხრომის ძალა შესწევს, მას კი არ გმობენ, არამედ, პირიქით, აქებენ, მაგრამ როცა მას საამისო ძალი არ შესწევს და მაინც, რადაც არ უნდა დაუჯდეს, სხვა ქვეყნების დაპყრობას ლამობს, ესაა შეცდომა, რომელიც გმობის ღირსია...

*

არამც და არამც არ უნდა მისცე ამა თუ იმ ბოროტებას ზრდის ნება, ვინაიდან ამით ომს ვერ აიცილებ თავიდან, არამედ მხოლოდ დროებით გადასდებ მას.

*

კაცნი თითქმის ყოველთვის სხვების მიერ გაკვალული გზებით დადიან და მოქმედებითაც თავიანთ წინამორბედს ბაძავენ, თუმცა არ ძალუძთ განუხრელად მისდიონ სხვის გზას.

*

რეჟიმი, რომელსაც ანგრევს რევოლუცია, თითქმის ყოველთვის უკეთესია, ვიდრე ის, რომელიც დანგრევისთანავე ყალიბდება და გამოცდილება გვასწავლის, რომ ცუდი მთავრობისთვის ყველაზე სახიფათო მომენტი ჩვეულებრივ ისაა, როდესაც ის იწყებს რეფორმებს.

*

სამართლიანობა მარტო მათ უყვართ, ვისაც არ შეუძლია ჩაიდინოს უსამართლობა...

*

კაცთა ყოველგვარ მტრობას, შიში ან სიძულვილი უდევს საფუძვლად...

*

სცდება, ვინც ფიქრობს, რომ ახალი ქველმოქმედება ძველ შეურაცხყოფას ავიწყებს დიდ ადამიანებს...

*

ამა თუ იმ სახელმწიფოს ხელში ჩაგდებისას დამპყრობელმა ერთბაშად, ერთი დაკვრით უნდა გამოიჩინოს მთელი სისასტიკე, რათა შემდეგ ყოველდღიურად აღარ დასჭირდეს მისი გამოყენება და, ამრიგად, შესძლოს ხალხის დაშოშმინება და ქველმოქმედების წყალობით, მისი გულის მოგება.

*

სისასტიკე ერთბაში და ერთჯერადი უნდა იყოს, რათა ხალხს გონს მოსვლის საშუალება არ მიეცეს და ამრიგად, ნაკლებ მტკივნეულად განიცადოს იგი, ქველმოქმედება კი ნელ-ნელა წვეთ-წვეთობით უნდა გამოავლინო, რათა ხალხმა შესძლოს მისი შეტკბობა...

*

ის, ვინც დიდებულთა შემწეობით აღწევს მთავრის ძალაუფლებას, უფრო ძნელად ინარჩუნებს მას, ვიდრე ის, ვინც ხელისუფლებას ხალხის შემწეობით უდგება სათავეში, ვინაიდან, პირველ შემთხვევაში, მთავარს გარს ახვევიან დიდებულები, რომლებსაც მასზე ნაკლებად როდი მოაქვთ თავი, და რომლებსაც ის, ამის გამო, ვერც თავის ნებაზე ათამაშებს და ვერც რასმეს უკარნახებს. მაშინ, როდესაც ის, ვინც ხალხის შემწეობით აღწევს მთავრის ძალაუფლებას, ერთპიროვნული მბრძანებელი ხდება და ირგვლივ არავინ, ან თითქმის არავინ ჰყავს ისეთი, ვინც ურჩობას გაუბედავს...

*

მთავარი ყოველნაირად უნდა ცდილობდეს ხალხის მეგობრობის მოხვეჭას, არადა, განსაცდელის ჟამს, ცუდად წაუვა საქმე...

*

სახელმწიფოს — როგორც ახლის, ისე ძველის თუ შერეულის უმტკიცესი საფუძველი კი კარგად განვრთნილი ლაშქარი და კარგად შედგენილი კანონები გახლავთ. კარგი კანონები წარმოუდგენელია კარგად განვრთნილი ლაშქრის გარეშე, ხოლო კარგი განვრთნილი ლაშქარი თავისთავად განაპირობებს კარგ კანონებს...

*

ჭკუათხელი კაცი რომ საქმეს წამოიწყებს, წინასწარ ტკბება წარმატების იმედით და ამ სიტკბოებაში გარეულ შხამს ვერ ამჩნევს...

*

მთავარს, რომელიც მაშინღა ამჩნევს ბოროტებას, როცა მან უკვე ღრმად გაიდგა ფესვი, არასდიდებით არ ეთქმის ბრძენი...

*

როდესაც მთავრები განცხრომაზე უფრო მეტს ფიქრობდნენ, ვიდრე ომსა თუ ბრძოლაზე, ჩვეულებრივ, კარგავდნენ თავიანთ საბრძანებელს.

*

რა სჯობს, უყვარდე თუ ეშინოდეთ შენი? რაზედაც პასუხობენ, რომ სასურველია ერთიცა და მეორეც. მაგრამ რაკი ორივეს შეთავ-

სება ძნელია, ამიტომ, თუკი იძულებული იქნები ერთ-ერთზე უარი თქვა, გაცილებით გიჯობს, შიშს უნერგავდე ხალხს და არა სიყვარულს. რადგანაც ადამიანებზე შეიძლება ზოგადად ითქვას, რომ ისინი უმადურნი არიან, მერყევნი, ორგულნი, ჯაბანნი, ხარბი; ვიდრე მათი კეთილისმყოფელი ხარ, ისინიც შენნი არიან, მაგრამ ხიფათის მოახლოებისთანავე ზურგს შეგაქცევენ.

*

გაცილებით უფრო ადვილია დაიმეგობრო ის ხალხი, ვინც ძველი ხელისუფლებით კმაყოფილი იყო, ვიდრე იმავე ხელისუფლებით უკმაყოფილონი, რომელნიც სწორედ ამის გამო მოგემხრნენ და ახალი სამფლობელოს დაპყრობაში შეგიწყვეს ხელი...

*

ყველაზე უკეთესი სიმაგრე ისაა, რომ არ სძულდე ხალხს. ვინაიდან ციხე-სიმაგრეები რომც გქონდეს, მაგრამ საძულველი იყო ხალხისთვის, ისინი არას გარგია; რადგან ხალხი იარაღს თუ მოკიდებს ხელს, ყოველთვის აღმოჩნდებიან მისი დახმარების მოსურნე უცხოელები.

*

გამარჯვება არასოდეს არ არის ისეთი სრული, რომ გამარჯვებულს აღარავინ სჭირდებოდეს და არაფერს უწევდეს ანგარიშს, მით უმეტეს, სამართლიანობას...

*

ბედნიერია ის, ვისი მოქმედებაც, დროის თავისებურებებს ეთანხმება და ესადაგება, და ზუსტად ასევე, უბედურია ის, ვისი მოქმედებაც დროს არ შეესაბამება.

*

მხოლოდ ის ომია სამართლიანი, რომელიც აუცილებელია და მხოლოდ ის იარაღია წმინდა, რომელიც ერთადერთ სასოებად დაუსახავს ხალხს...

*

მიზანი ამართლებს საშუალებას!

ნიკოლო მაკიაველის თხზულებები

1499-1500 წწ. მსჯელობანი ათთა საბჭოს მაგისტრატების მოსამზადებლად პიზის მოვლენებთან დაკავშირებით;
1502 წ. შეტყობინება ფლორენციის რესპუბლიკის მიერ მიღებულ ზომებზე პისტოიის პარტიის შემოსარიგებლად;
1502 წ. ვალ დიკიანის ამბოხებული მოსახლეობისადმი მიმართვის საშუალებებზე.
1503 წ. აღწერა იმისა, თუ როგორ დააღწია თავი ვალენტინოს ჰერცოგმა ვიტელოცო ვიტელისაგან, ოლივერეტო დე ფერმოსაგან, სინიორ პაოლოსა და ჰერცოგ გრავინა ორსინისაგან;
1503 წ. ლეგაცია რომის პაპთან;
1503 წ. სიტყვა პიერო სოდერინისთვის „ფულის მარაგზე";
1504 წ. პოემა „ათწლეული";
1506 წ. მსჯელობა ფლორენციის რესპუბლიკის სამხედრო ძალების ორგანიზაციაზე;
1509 წ. დაუმთავრებელი პოემა „მეორე ათწლეული";
1510 წ. აღწერა საფრანგეთის მოვლენებისა;
1512 წ. აღწერა მოვლენებისა, რომლებიც გერმანიაში მიმდინარეობდა.
1513 წ. მთავარი
1513-1516 წწ. მსჯელობანი ტიტუს ლივიუსის პირველ დეკადაზე;
1514-1516 წწ. დიალოგი ჩვენს ენაზე;
15165-1517 წწ. ოქროს ვირი;
1516 წ. პიესა „მანდრაგორა";
1520 წ. ლექსები: „უმადურობაზე", „ბედისწერაზე", „პატივმოყვარეობაზე", „შემთხვევითობაზე", „თხზულება

ბარბარაზე“, „სონეტი“, „ჯულიანო დი ლორენცო მედიჩისთან“, „ეპიგრამა“, საკარნავალო სიმღერები: „მღერიან ციდან გამოგდებული ეშმაკები“, „მღერიან მწუხარებით სავსე შეყვარებულები და ქალბატონები“, „მღერიან ნეტარი სულები“, „მღერიან მეუდაბნოები“, „მღერიან ფიჭვის გირჩებით მოვაჭრენი“, „მღერიან გველების შემლოცველები“, „სტამბიტი“.

1518 წ. ზღაპარი ბელთაგორზე;

1519-1520 წწ. ტრაქტატი სამხედრო ხელოვნებაზე;

1520 წ. კასტრუჩო კასტრაკანის ცხოვრება;

1520 წ. მსჯელობა ფლორენციაში საქმეების გასაუმჯობესებლად;

1520 წ. ქალაქ ლუკის მოვლენების აღწერა;

1522 წ. ინსტრუქცია იმპერატორ კარლ V კარზე ფლორენციის ელჩის რაფაელო ჯიროლამოსადმი;

1525 წ. ფლორენციის ისტორია;

1525 წ. კლიცია.

წყაროები და ლიტერატურა

წყაროები

1. მაკიაველი, მთავარი, თარგმანი ბ.ბრეგვაძისა, თბ., 1984.
2. Machiavelli N. Opere complete, Napoli, 1878, t.I.
3. Machiavelli N. Legazione al duca Valentino, Napoli, 1878, t. II.
4. Machiavelli N. Quevres politiques, Paris, 1857.
5. Макиавелли Н. Рассуждения на первую декаду Тима Ливия, СПБ., 1869, кн.2.
6. Макиавелли Н. Сочинения, Academia, М., 1934.
7. Макиавелли Н. О военном искусстве, М., 1939.
8. Макиавелли Н. История Флоренции, М., 1987.
9. Макиавелли Н. Избранное, М., 1999.
10. Guicciardini F. Opere inedite, Firenze, 1857, t.III.
11. Гвичардини Ф. Избранное, М., 1934.
12. Гвичардини Ф. Сочинения, N189, N216, М., 1939.

ლიტერატურა

13. Anzilotti A. La crisi costituzionali della republica Fiorentina, Firenze, 1912.
14. Brandi, Die Renaissance in Florenz und Rom, Leipzig, 1903.
15. Davidshon K. Geschichte von Florenz, Bd. I-II, Berlin, 1912.
16. Faster, Machiavelli, Stuttgart, 1900.
17. Fueter, Geschichte des europaischen staatensystems von 1492 bis 1559, Berlin, 1919.
18. Виллари П. Макиавелли и его время, СПБ., 1914, т. I-II.
19. Виллари П. Савонарола и его время, СПБ., 1914, т. I-II.
20. Всемирная история, М., 1958, т. IV.
21. Вайнштеин О. Западноевропейская средневековая историография, М-Л., 1964.

22. Буркгардт Я. Культура Италии, СПБ, 1905-1906.
23. Дживилегов А. Леонардо да Винчи, М., 1935.
24. Дживилегов А. Начало итальянского возрождения, М., 1908.
25. Кенигсбергер Г. Средневековая Европа 400-150 гг. М., 2001.
26. Зайчик, Люди и искусство итальянского Возрождения, СПБ., 1906.
27. История Италии, под ред. С.Д.Сказкина, М., 1970.
28. Лучицкий, Рабство и русские рабы во Флоренции в XIV-XV вв. Киев, 1886.
29. Монье, Кватроченто, СПБ., 1904.
30. Никольсон Г. Дипломатическое искусство. М., 1977.
31. Никольсон Г. Дипломатия Макиавелли, М., 1962.
32. Очерки по истории Италии под ред. М.Гусовского, М., 1959.
33. Оветт, История итальянской литературы, СПБ., 1909.
34. Пискорский В. Франческо Ферруччи, СПБ., 1891.
35. Рутенбург В. Жизнь и творчество Макиавелли, Л. 1973.
36. Стендаль. История живописи в Италии, Л., 1934.
37. Стасюлевич И. История средних веков, СБ., 1887.
38. Топор-Рабчинский, Макиавелли и эпоха Возрождения, Варшава, 1908.
39. Tommaseo, Pensieri sulla storia di Firenze, Torino, 1883.
40. Шефтель З. К вопросу об исторических трудах Николло Макиавелли, Тб., 1945 (Дисертационная работа).
41. ი.ხუბაშვილი, მაკიაველის იდეების ასახვა XVI-XVIII სს. ინგლისურ დრამატურგიაში. თსუ კრებ. შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები, N2, თბ., 2000.

სარჩევი

იტალია XV საუკუნის ბოლოსა და
XVI საუკუნის დასაწყისში 5
ფლორენცია 17
ნიკოლო მაკიაველი და მისი ეპოქა 27
ნიკოლო მაკიაველის აფორიზმები 59
ნიკოლო მაკიაველის თხზულებები 68
წყაროები და ლიტერატურა 70

გარეკანის პირველ გვერდზე: ფლორენცია, პალაცო ვეკიო
გარეკანის ბოლო გვერდზე: სანტა კროჩეს ეკლესია, სადაც დაკრძალულია მაკიაველი, მიქელანჯელო და გალილეი.